

ივ. ჯავახიშვილი


ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ეკონომიური
ისტორიის
ძეგლები
(XIII-XIX სს.)

წიგნი

II



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ имени К. КЕКЕЛИДZE



1974

И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

Памятники экономической истории Грузии

Книга II

(XIII—XIX)

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1974


ივ. ჯავახიშვილი

საქართველოს ეკონომიური ისტორიის
ძეგლები

წიგნი II

(XIII—XIX სს.)

454514



ც. 922) (09) + 318 (ც. 922) (09) + 31 (ც. 922) (09)



ს. ჩახივდომს ექონოზიუხი ისტორიი

ს. ჩახივდომ ისტორიის

მოკუგნტეცე

9 (47.922) + 312 (47.922) (09)

9 (c 41)

№ 145

ხოქი

ნაშრომი წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის მიერ
თავმოყრილ XIII — XIX საუკუნეების სხვადასხვა
ხასიათის საბუთების კრებულს. ზოგიერთი გამოცემის
სის გარდა, დოკუმენტები პირველად ქვეყნდება. სა-
ბუთები შეიცავენ ძვირფას ცნობებს საქართველოს რე-
გორც ეკონომიური, ასევე სოციალური და პოლიტიკური
ისტორიისათვის.

გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში
დარეჯან მეგრელაძისა და ნათელა ჯავახიშვილის მიერ

წინასიტყვაობა

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები“ წიგნი II განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა გამოეყვენებინა (ისევე როგორც I წიგნი) 40-ოდე წლის წინათ. საამისოდ მას შერჩეული და გადაწერილი ჰქონდა დედნებთან შედარებული მასალა და დართული ჰქონდა შენიშვნები.

„საქართველოს ეკონომიური ძეგლების“ II წიგნი რამდენადმე განსხვავდება I წიგნისაგან როგორც ქრონოლოგიურად, ასევე თემატურად.

წიგნი II ქრონოლოგიურად XIII—XIX სს. ძეგლებს მოიცავს. მასში თავმოყრილია როგორც ხალხის აღწერის, ასევე საგადასახადო და ხარჯის წესები, ჯარში გამსვლელთა სიები, არხები ოქმებით, ბრძანებები, გარიგების წიგნები, მზითვის წიგნი და ა. შ.

ეს დოკუმენტები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების, ასევე პოლიტიკური ისტორიის, სამხედრო საქმის, სოციალურ და იურიდიულ ურთიერთობათა და სხვათა დასხვათა შესახებ.

გამოსაქვეყნებლად მომზადებული ხელნაწერთა ინსტიტუტის Qd ფონდის საბუთების დედნები 1945 წლამდე განსვენებული მეცნიერის პირად არქივში ინახებოდა, ამიტომ ჩვენ მოგვიხდა მის მიერ მომზადებული მასალისათვის ნომრების მოძებნა და დოკუმენტების რაობის განსაზღვრა.

ჩვენ მიერვეა გაკეთებული თითოეული გამოსაცემი საბუთის ლეგენდა. ივ. ჯავახიშვილის მიერ მომზადებულ საბუთებს თავში გაკეთებული ჰქონდათ ზოგიერთი შენიშვნა: ვისგან იყო საბუთი მიღებული, დაზიანება და ა. შ. და დართებული ჰქონდა ადგილი ლეგენდის ჩასაწერად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გაკეთებული შენიშვნები ლეგენდებში ფრჩხილებში მოვათავსეთ.

აქ გამოქვეყნებული №№ 8, 9, 25, 26, 36, 63, 79, 80 საბუთების დედნებს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, ამიტომ ეს მასალა ქვეყნდება ივ. ჯავახიშვილის გადანაწერის მიხედვით, რასაც კიდევაც ვუთითებთ ხოლმე ლეგენდაში.

ივ. ჯავახიშვილის ხელით გადაწერილი უთარილო დოკუმენტები №№ 79, 80, რომელთა დედნებსაც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ და რომელთა დათარიღებაც ვერ შევძელით, კრებულს დაუურთეთ ბოლოში როგორც „დაუთარიღებელი“.

ივ. ჯავახიშვილის არქივში გამოსაცემად მომზადებულ მასალასთან ერთად ინახებოდა 1774—83 წწ. (გამოცემის № 38) დოკუმენტის დედანი, რის გამოქვეყნებასაც, როგორც ჩანს, ვარაუდობდა განსვენებული მეცნიერი. ამიტომ მოგვიხდა მთლიანად ამ დოკუმენტის გამოსაქვეყნებლად მომზადება. დოკუმენტების დიდი უმრავლესობა, როგორც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლების“ I წიგნში, ისევე II წიგნში, პირველად ქვეყნდება. ზოგიერთი დოკუმენტის ხელახლა გამოქვეყნება კი, როგორც ჩანს, განსვენებულ მეცნიერს იმთავითვე ჰქონდა განზრახული. მაგ. აქ გამოქვეყნებული № 1

საბუთის ნაწყვეტი პირველად გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ 1892 წ. „ქრონიკ.“ I წიგნში. უფრო გვიან კი ს. კაკაბაძემ 1929 წ. „საისტ. კრებ.“, IV. № 2 1897 წ. გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ „ქრონიკ.“ II; 1929 წ. კი ს. კაკაბაძემ „საისტ. კრებ.“ IV. № 6 საბ. შემოკლებით გამოაქვეყნა ა. ხახანაშვილმა 1891 წ. „გუჯრებში“ 1925 წ.—შ. ჩხეტიამ „საისტ. მოამბეში“ II. №№ 14, 35, 47 დოკუმენტები თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა 1903 წ. „ქართლ-კახეთის ეკლ. და მონასტრების ისტ. საბ.“.

დოკუმენტების ნაწილი №№ 1, 2, 6, 14, 17 ხელახლა გამოიცა უკვე ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ. იხ. ი. დოლიძე, „ქართული სამართლ. ძეგლ“, III, 1970.

„საქართველოს ეკონ. ისტორიის ძეგლები“, I წიგნში გამოქვეყნებული 1774 და 1781 წწ. ქსნის ხეობის აღწერანი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ პირველად გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა 1951 წ. „თბილისის უნივ. შრ.“ ტ. 45. ასევე პირველად გამოქვეყნდა ამ წიგნში დაბეჭდილი № 52 საბ. 1955 წ. (შ. მესხია, „მასალები საქართვ. და კავკას. ისტ.-სათვის“, ნაკვ. 32) № 68,—1964 წ. (იხ. „XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტ. დოკუმენტი“) და № 24—1963 წ. (ა. კლიმიაშვილი, „ხელნაწ. ინსტ. მოამბე“, V).

მიუხედავად ამისა, ასეთი ნუსხები არ ამოვიღეთ ივ. ჯავახიშვილის მიერ მომზადებული მასალიდან და საჭიროდ ვცანით მათი ხელახალი გამოქვეყნება იმავე სახით, როგორც ეს ნავარაუდევია ჰქონდა განსვენებულ მეცნიერს.

ივ. ჯავახიშვილის ხელით გადაწერილ მომზადებულ მასალებში შეგვხვდა სიმ. ჯანაშიას ხელით გადაწერილი საბუთებიც, რასაც სათანადო აღგილას კიდევაც ვუთითებთ.

ტექსტებში შეტანილი პეტიტით აწყობილი მითითებანი ყველა ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. ზოგჯერ ივ. ჯავახიშვილის გაკეთებული შენიშვნები ჩაგვაქვს სქოლიოებში, რასაც სათანადოდ აღვნიშნავთ კიდევ.

ტექსტებში ქარაგმების გახსნა ყველგან ჩვენია. გახსნილ ქარაგმებს [] ფრჩხილებში ვათავსებთ, აღდგენილ დაზიანებას—() ფრჩხილებში, ხოლო დამწერის მიერ გამოტოვებულს—< > ფრჩხილებში.

ქართული გვარების წერისას ვიცავთ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლების“ I წიგნში გატარებულ პრინციპს. მაჰმადიანთა ნუსხებში მამისშვილობის აღმნიშვნელი — ოღლი დეფისით გამოვყავით.

პუნქტუაცია ყველგან ჩვენია. ნუსხებში, სადაც რიცხვის აღმნიშვნელი ასოები მარცხნივ წერია, სტრიქონის ბოლოს სასვენ ნიშნებს არ ვსვამთ. იგულისხმება, რომ აზრი სრულდება იქ, სადაც რიცხვის აღმნიშვნელი ასოა.

რამდენადაც გამოსაქვეყნებლად მომზადებულ ტექსტში ბეჭდების მითითების პრინციპი ერთნაირად არ იყო დაცული, საბუთებზე დასმული ბეჭდების შესახებ მონაცემები ჩაგვაქვს სქოლიოში.

საძიებლებს (საგნობრივს, გეოგრაფიულს) ორივე წიგნისას ვურთავთ წინამდებარე II წიგნს.

სამწუხაროდ, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლების“ ორი წიგნის გამოცემა გვიხდება გამომცემლის გარდაცვალების შემდეგ. ამიტომ მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე მცდელობისა, შესაძლოა ეს გამოცემა დაზღვეული არ იყოს შეცდომებისაგან.

დარეჯან მეგრელაძე, ნათელა ჯავახიშვილი

1. XII—XIII საუკ. ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნი. დედანი(?)¹. 60,5 სმ. × 18,5 სმ. ნუსხური. განკვეთის ნიშნად ნახმარია ორ-ორი წერტილი. ზოგჯერ ორი წერტილი და მოკლე ჰორიზონტალური ხაზი. (...თავი დაზიანებული აქვს და აკლია კიდევაც. ბოლო შემონახული უნდა გვეჩვენოს, ვინაიდან უკანასკნელ სტრიქონს (რომელსაც აზრის დამთავრების ნიშნად თავისებური ნიშანი უხის) შემდგომ თავისუფალი ადგილია, სამი თუ ოთხი სტრიქონისათვის საკმარისი. საბუთისათვის გამოუყენებიათ ეტრათი უფრო ძველი საბუთის (გიორგი მე-III ის მხედრულად ნაწერი სიგელი), რომლის ტექსტი მეორე გვერდზეა მოთავსებული. გიორგი მესამის საბუთს ბოლო აკლია, რადგან გადაუჭრიათ მერმინდელი საბუთის შემდგენელთ)². Ad 15.

...არდგომამ... ქრთ(ილი) კა(ბიწი... ც)ხურის ტყავ<ი> მჟარი... (შე)დგო-
მამ, დრამამ(გ), ქრთილ<ი> კაბიწი ა. შედგომამ, ვერცხლი დრამამ გ, ქრთი-
ლი კ<ა>ბიწი<ი> ბ. რა აშკნს: შედგომამ, ვე[რ]ცხლი დრამამ სამი,
ქრთლი კ[ა]ბ[ი]წი ბ. უ ყ ი ლ ი თ ს (?) სადგომი არა, დრამამ ა. ბო დ<ა>გ ს:
შემოდგომამ, ვე[რ]ცხლი დრ<ა>მამ დ, ქრთილი კაბიწი ე³. დგომამ არა, დრა-
მამ დ. ყ ი ნ ო ვ ა ნ ს: დგომამ დღე-ღამე გ, ვე[რ]ცხლი დრამამ ღდ, ქრთილი
კ<ა>ბ<ი>წი ე. წ ი რ დ ა ლ ს: დგომამ არა, დრამამ დ. ჟ ი დ ა რ ს: შედგო-
მამ, დრამამ გ, ქრთილი კაბიწი გ, შოლტი ქ[ა]ლმ[ა]ნი ერთი. წ ო ბ ე ნ ს: შედ-
გომამ, ვე[რ]ცხლი დრამამ გ, ქრთილი კ[ა]ბიწი ბ. გ უ გ უ ღ ს ჯ უ ა რ ს: შედ-
გომამ, ვე[რ]ცხლი დრამამ გ, ქრთილი კაბიწი ა, შოლტი ქ<ა>ლმ<ა>ნი ა. შე-
ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ს ჯ უ ა რ ს: შედგომამ, ვე[რ]ცხლი დრამამ გ, ქრთილი კაბიწი
ა. ი კ ო რ დ ნ ს: შედგომამ ვე[რ]ცხლი დრამამ ა, ქრთილი კ<ა>ბ<ი>წი
ა. ა ხ ა ლ დ ა ბ ა ს: შედგომამ, ვე[რ]ცხლი დრამამ გ, ქრთილი კაბიწი ა, ქალ-
მანი ა. ნ ო კ ო რ ნ ა ს: შედგომამ, ვე[რ]ცხლი დრამამ ე, ქრთ[ი]ლი კაბიწი ბ,
შოლტი ქ<ა>ლმანი ა. ძ ა გ უ ს: შედგომამ დღე-ღამე ბ, ვე<რ>ცხლი დრა-
მამ დ, ქრთილი კაბიწი ბ, ცხურის ტყ<ა>ვ<ი> მჟარი, ქალამანი ა⁴. ა ნ ე ბ ს:
შედგომამ, დრამამ გ, ქრთილი კაბიწი ა, ქლ<ა>მანი ა. დ ა ო თ ს: შედგომამ,
ვე[რ]ცხლი დრამამ დ, ქალმანი ერთნი (sic). შ ი გ ო რ ნ ა ს ძ ი ს ქ ე დ ს: შედგო-
მამ დღე და ღამესა, დრამამ ე, შოლტი ქალამა<ნი> ა. ჩ ო რ დ მ ა ნ ს: შედ-
გომამ, დრამამ გ, ქრთილი კაბიწი ბ, ქალამანი ა. ნ ო დ ო კ რ ა ს: შედგომამ,
ქრთილი კაბიწი გ, ქ<ა>ლმ<ა>ნი ერთნი (sic). ა ხ [ა] ლ დ ა ბ [ა] ს: შედგო-
მამ, ვე<რ>ცხლი დრამამ ბ, ქრთილი კაბიწი ა. ა მ ტ ა ნ ს: შედგომამ დღე-ღა-
მესა, დრამამ ე, ქრთილი კაბიწი გ. შ ე ხ უ ტ ი ლ ა ს: შედგომამ დღე-ღამესა,

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1930, გვ. 60—61.

² ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ეკუთვნის ს. ჯანაშვას. გამოსაქვეყნებლად მომზადებული ამ დოკუმენტის ტექსტიც ს. ჯანაშვას ხელით არის გადაწერილი.

³ აქ ერთი სიტყვა, სოფლის სახელი უთუოდ, ამოშლილია, ს. ჯ.

⁴ აქ თითქმის ერთი სტრიქონისათვის თავისუფალი ადგილი უნდა იყოს. სტრიქონებს შორის სინგურით ჩაწერილია სამი ასო: ა ლ ზ.

დრამა გ, ქრთილ<ი> კაბიწი ბ, ქ[ა]ლმან[ი] ა. თრ<ა>ნს: შემდგომად
დღე-ღამესა, ვე[რ]ცხლი დრამა, ქრთილი კაბიწი გ, შოლტი ქალმანი ა. ვ ა გ-
რ ა ნ ე თ ს: შემდგომად დღე-ღამესა, ვე[რ]ცხლი დრამა ზ, ქრთილი კაბიწი გ,
ქ<ა>ლმ<ა>ნი ერთნი (sic). ხ ა ჯ ლ ი ო ს ძ ი ს ს ა: შემდგომად, ვ[ერ]ცხლი
დრამა გ, ქრთილი კაბიწი ა. ლართას (sic): შემდგომად დღე-ღამესა დრა-
მა ბ, ქრთილი კაბ<ი>წი ა. უ ნ ჭ ა ლ ა ს. შემდგომად, დრამა დ, ქრთილი
კაბიწი გ, ქ<ა>ლმანი ა. ხ ი ნ ჭ ე ბ ს: შემდგომად, დრამა გ, ქრთილი კაბი-
წი ა, ქ<ა>ლმანი ა. ყ უ დ რ ო ს: შემდგომა (sic), დრამა დ, ქრთილი კაბიწი
ბ. ზ ე დ ი ქ უ რ ნ ა ს: შემდგომად, დრამა გ, ქრთილი კაბიწი ა. ო რ ჯ ე ვ ს:
შემდგომად, არა, დრამა გ, ქრთილი გუჭრდი. ბ უ შ ა ტ ს: არდგომად, დრამა
გ, ქრთილი კაბიწი ა. ი ვ ლ ა ს: შემდგომად, დრამა გ, ქრთილი კაბიწი ბ. წ ი-
ა ბ ე თ ს: შემდგომად არა, დრამა გ, შოლტი ქ<ა>ლმ<ა>ნი ა. ი ლ ს:
დგომად დღე-ღამესა, დრამა ვ, ქრთილი კაბიწი გ, შოლტი ქალმანი ა. ზ ე დ-
უ ბ ა ნ ს: შემდგომად, დრამა გ, ქრთილი კაბიწი ა. ი ვ ა ნ წ მ ი დ ა ს: შემდგომად,
დრამა გ, ქრთილი კაბიწი ა. ა ხ ა ლ კ ა ლ ო ს: არდგომად, დრამა გ, ქრთი-
ლი კაბიწი ბ. თ ო ლ ე ჯ ს: შემდგომად, დრამა გ, ქრთილი კაბიწი ა. ქ<ა>ლმ-
<ა>ნი ა. გ ო რ ა ნ ა ს: შემდგომად, დრამა ი, ქრთილი კაბიწი ე. პ ი ტ ლ ო-
ვ ა ნ ს: შემდგომად, ქალაქური დრამა ნ, ქრთილი კაბიწი გ⁵.

2. XV საუკ. პირველის დამლევი და მეორე ნახევრის დამდეგი. სამთავნელის სამწყსოს
დრამისა და შესავლის გარიგების წიგნი⁶. პირი განახლებული 1673 წ. 161×19 სმ. რესტავ-
რირებული ქაღალდი. ნუსხური. განკვეთის ნიშნად ნახშირია ზოგან ერთი, ზოგან ორ-ორი
და ზოგან სამ-სამი წერტილი. Ad 559⁷.

ქ. წყალობითა ღვთისა] მთა ჩ[უენ ცვაჲ-ფარვათა მისთა მინდობილ-
მ[ან მეფეთ-მეფემ[ან ქ[ელმწიფემ[ან პატრონმ[ან შაჰნავაზ (და) თ[ან]ა
მემცხედრემ[ან ჩ[უენმ[ან ზღუათა მეფის ასულმ[ან დედოფალთ-დედო-
ფალმ[ან პატრ[ონმ[ან მ[არ]ია და ძეთა ჩ[უენთა სასურველთა ბატო-

⁵ შენიშვნა ს. ჯანაშიას ხელით: „ქვევით დარჩენილია თავისუფალი ადგილი 4—5 სტრიქონი-
სათვის საკმარისი.

ის გარემოება, რომ ორივე საბუთის, გიორგი III-ის სიგლისა და ერწო-თიანეთის* სარგოს, თავი და
ბოლო ეტრატის ერთსა და იმავე მხარეს მოდიან, საშვალებას გვაძლევს გამოვარკვეოთ, რომ ერწო-
თიანეთის სარგოს თავში მაინც ბევრი არ უნდა აკლდეს. იმიტომ რომ გიორგი მესამის სიგლის დარჩე-
ნილი ტექსტის ნაწილი (იხ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 265—66) უკვე „თხრობას“ წარმოადგენს.
და საბუთს მაშასადამე მხოლოდ ე. წ. „სიგლის თავი“ უნდა აკლდეს, რომელიც არ შეიძლებოდა იმ
დროს ღიდი ყოფილიყო. თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წაკითხულ ტექსტს
ზევით კიდევ დარჩენილია რამდენიმე მჭრალი სტრიქონი (ჟორდანია მთავრ წაუკითხავი), რომელთაც
შეუძლიათ „წოდებულბა“ მაინც დაითიონ, უნდა დავასკვნათ, რომ ეტრატის დაღუპული ნაწილი
არ უნდა ყოფილიყო ღიდი ზომისა. შეიძლება, რასაკვირველია, ვიფიქროთ, რომ გიორგის საბ.უ-
თის ეტრატი წაკერებული იყო სხვა ნაჭერზე, თუმცა ამას გვიშლის, ცოტა არ იყოს, ისა, რომ საბუთის
თავი დაზიანებული აქვს ისე (ამოჭმული და გადაცეითლია), როგორც საზოგადოდ ასეთ გრავნი-
ლებს თავში უზიანდებათ ხოლმე, ს. ჯ.». (*ერწო-თიანეთის მაგივრად ს. ჯანაშიას სამთავნის
უწყრია. რედ.).

ბოლოში ივ. ჯავახიშვილის ხელით ამოწერილია ყველა სოფლის სახელები და შეჯამებულია
რაოდენობა.

⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომური ისტორია, წიგნი პირველი, ტფ. 1930,
გვ. 61—65.

⁷ ეს დოკუმენტი გადაწერილია ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა ს მიერ. ადრე დოკუმენტი ორი ნომრით
Ad 559 და Ad—918—იყო კატალოგში გატარებული. ამჟამად ეს ორი ნაწილი გაერთიანებულია ერთ
ნომრად Ad 559 რედ.

ნისშვლმ[ან ბატონმ[ან გ[იორგ]ი, ბ[ატონმა]ნ ლევან, ლუარსაბ და სოლო-
მონ ს⁸მთერ (sic)⁸ ღთეების საყდრის ს[ა]მწყსოს დრამისა და შესავლის ძვე-
ლითგ[ან გ[ან]ხაენი წიგნი და გუჯარი ჰქონდა. ვნახეთ და დიად დაძველებუ-
ლიყო და ჩ[უენ]ნ[ა]დ სადღეგრძელოდ და გა[სა]მარჯვებლ[ა]დ, როგორაც იმ
ხ[ა]ტის სიგ[ე]ლში ეწერა, ისევ იმ რიგ[ი]თ და ი<მ>ავე წესით გ[ან]უახ-
ლეთ და ღუმტაციეთ სიგელი ესე. უნდა მიერთმოდეს მის დროს გაურჯელად
და ულაპარაკოდ სამთ[ა]ვის ღვთეების საყდ[ა]რს პ[ირველ]ად ყ[ა]ნ ჩ[ა]-
ეთი და ღამე: პური დ, დრამა ი, სამი კაბიწი სამ[ა]რხო, (ქალ)მ<ა>ნი ბ, სა-
ბელი: ბ; რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი და მიეცეს მირონი. საძეგურს: პური
ა, დრამა გ, ქალმ[ა]ნი ა და საბელი. ამზარგუეთამუჯათეს (sic) მო-
ართვან: დრამა ორი, სა⁹...რი პური კვამლზედ. იეგფნელთ:... დრამა გ,
თ[ი]ვა ზუ(რგი) რ[ა]ჲ გ (sic), ქერი, პური და ღვინო ს[ა]ყ[ო]ფნი, კაბიწი სა-
მარხო, ს[ა]ბ[ე]ლი; რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი და ყველი. ცხა-
ვატს: პური ორი, დრამა დ, რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი (sic), ყვე-
ლი. ღარგუ<ი>ს: ყ[ა]მის წირვისა ერთი დ[ია]კ[ო]ნი აკურთხოს და
ძმათ სიყვარული, სერობ[ა]ჲ. დგიმს, ღოგობეთს, შველიეთს,
მორღანი<ს>, ღოგობეთს (sic) სამი კარჩხალ¹⁰ ღვინო ლიტრითა;
სამი ზურგი თივა ხუთი კეფითა; ქ[ა]ლმანი ა, ს[ა]ბ[ე]ლი ა, პური და ქერი
კვამლათ. და ერუფაელმ[ა]ნ და საქორელმანი¹¹ ნასოვს პური ა,
დრამა ბ, ქალმ[ა]ნი ა; რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი.
დად<ი>ანეთს: პური ა, დრამა ბ, ქალმ[ა]ნი ა, საბ[ე]ლი ერთი; რ[ა]ჲ
ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი¹² და აბრასიკი. ზოდესს: პური ერთი, დრამა
გ, კაბიწი სამ[ა]რხო; რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასი-
კი. მითოხთას: პური ა, დრამა გ, ქალმ[ა]ნი ბ, ს[ა]ბ[ე]ლი ა; რ[ა]ჲ
ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. მახიარეთს¹³: პური ა,
დრამა გ, ორი კ[ა]ბიწი სამ[ა]რხო, ქ[ა]ლმ[ა]ნი ბ; რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]-
ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. დაბაკნეთს: პური ა, დრამა გ, ქ[ა]ლმ[ა]-
ნი ბ; რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი და აბრასიკი. სოსმიალეს: პური ა,
დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა; რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასი-
კი. სოსხვტოს: პური ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, საბელი ა; რ[ა]ჲ ხუცესსა
ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. დასწყაროს: პური ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი
ა, დრამა ბ; რ[ა]ჲ ხუცესსა ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი,
კლდეითს¹⁴ დრამა ბ, პური ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა; რ[ა]ჲ ხუცესსა ტყ[ა]ვი
მჟარი, ყველი და აბრასიკი. ბედელეთს: პური ა, დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა;
რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. წინუბ[ა]ნს: პური ა,
დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა; რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასი-

⁸ ასოები ვ და რ შემდეგ გაუცხოველებიათ.

⁹ აქ ერთი სტრიქონი უნდა აკლდეს, ს. ჯ. სა-ზე თავდება სტრიქონი და რ-თი იწყება ახალი სტრიქონი, დ. მ.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილის ხელით არშიაზე მიწერილია: „კანჩხალა (sic), ლიტრა, ზურგი, კე-ფი“.

¹¹ ივ. ჯავახიშვილის ხელით არშიაზე მიწერილია: „სოფელის სახელებია?“

¹² წერია ყვილი, ს. ჯ.

¹³ ს. ჯანაშია კითხულობს: „მიახიერეთს (მახერეთს?). ამ წაკითხულს ივ. ჯავახიშვილის ხელით ფანქრით მიწერილი აქვს „მახიარეთ“.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი ამ წაკითხვაში ასო ე-ს შემდეგ უმატებს ი-ს.

კი. ყველდაბაჲს: პური ა, დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა; რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]-
ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. ჭარბ[ა]ლს: პური ა, დრამა ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა;
რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. ჭორჭოხს: პური ბ,
დრამა ე, ქ[ა]ლმ[ა]ნი ბ, საბ[ე]ლი ა. ოორი (sic) კაბიწის სამ<ა>რხო. ახალ-
დაბ[ა]ჲს: პური ა, დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა; რ[ა]ა ხუცესა ტყ[ა]ვი მჟ[ა]-
რი, ყვ[ე]ლი და აბრასიკი. ანრაწმიდულს: პური ბ, დრამა გ. ქ[ა]ლმ[ა]-
ნი ა; რ[ა]ა ხუცესა ტყავი მჟარი, ყვ[ე]ლი და აბრასიკი. ჭარჩუხს: პური
ოთხი, დრამა ე, ქ<ა>ლმ<ა>ნი ბ; რ[ა]ითა ხუცესა ტყ[ა]ვი მჟარი, ყვ[ე]-
ლი და აბრასიკი. ჟამურს: პური დ, დრამა ი, ქ<ა>ლმ<ა>ნი ა. საბ[ე]ლი
გ. რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი და ყველი. კვერიეთს: პური ა, დრამა ბ,
ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, ორი კაბიწი სამ[ა]რხო; რ[ა]ა ხუცესა ტყ[ა]ვი მჟარი, ყვე-
ლი და აბრასიკი, ძაბლეთს: პური ა, დრამა ბ, კაბიწი სამ<ა>რხო, ქ[ა]ლ-
მ[ა]ნი ა, საბელი ა; რ[ა]ა ხუცესა ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. ჭო-
ხოთს: პური ა, დრამა გ, კაბიწი სამ<ა>რხო ბ, საბელი ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა;
რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. გოგოეთს: პური ა,
დრამა ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, კაბიწი სამ[ა]რხო; რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი,
ყველი და აბრასიკი. გავაზს: პური ა, დრამა ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა; რ[ა]ა ხუ-
ცესა ტყ[ა]ვი და (sic) მჟარი. ყობელეთს: პური ა, დრამა ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა;
რ[ა]ა ხუცესა ტყ[ა]ვი მჟ[ა]რი, ყველი და აბრასიკი. შთონოეთს: პუ-
რი ა, დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, კაბიწი სამარხო. ჭურთას და ჭურთის-
ჭევს: პური ბ, დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ბ, საბ[ე]ლი ა; რ[ა]ა ხუცესა ტყ[ა]ვი
მჟ[ა]რი, ყველი და აბრასიკი. საღოროეთს: პური ბ, დრამა გ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ბ,
კაბიწი სამ[ა]რხო, საბ<ე>ლი ა; რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟ[ა]რი, ყველი და
აბრასიკი. წითროლეთს: პური ა, დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, საბელი ა;
რ[ა]ა ხუცესა ტყ[ა]ვი მხ<ა>რი, ყველი და აბრასიკი. საბარკლეთს:
პური დ, დრამა ე, ორი კაბიწი სამ[ა]რხო, ბ¹⁵ ქ[ა]ლმ[ა]ნი¹⁶, საბელი¹⁷;
რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყვ[ე]ლი და აბრასიკი. კვცხოვეთს: პუ-
რი ა, დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, კაბიწი სამ[ა]რხო; რ[ა]ა ეცა ხუცესი იყოს,
ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი. დვალეთს: პური ა, სამ[ა]რხო კ<ა>-
ბიწი ა, საბელი ა. არდის: პური ა, დრამა ბ, სამი კაბიწი სამ[ა]რხო, ქ[ა]ლმ-
[ა]ნი; რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟ[ა]რი, ყველი და აბრასიკი. წალდეგს:
პური და სამარხო. ისროლს: პური ა, დრამა ბ, სამი კაბიწი სამ[ა]რხო,
ქ[ა]ლმ[ა]ნი ბ, საბელი ა, რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟ[ა]რი, ყველი და აბ-
რასიკი. ჯავახთას¹⁸: პური ა, დრამა გ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, ორი კაბიწი სამ[ა]რ-
ხო, საბ[ე]ლი ა; რ[ა]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მჟარი, ყველი და აბრასიკი¹⁹.

ეკლესიის სოფელთა მთაწმიდას მოვიდეს, შობტროვანს ჩამოდ-
გეს, ქვითკირით მოვიდეს მდელთა და მ[ა]მ[ა]ს[ა]ხლისთა ბეგარი და
ამას²⁰ გ[ა]რდა რაოდენიცა სოფლ[ე]ბი სწერია ქს<ა>ნზედა ამათ სოფელ-
თა შ[ინ]ავინცა აზნ[ა]ურმ[ა]ნ, ანუ გლეს[მა]ნ კ[ა]ცი მოკლას (sic), მეს<ა>
მედი სისხლი ღთვ[ე]ბას (sic) მიართვას მოკლულის მიცვალებულის მოსახსე-

¹⁵ ჩამატებულია სტრიქონში ზეით, ს. ჯ.

¹⁶ აქ მგონი „ბ“ ეწერა; მაგრამ წაუშლიათ, ს. ჯ.

¹⁷ რამდენი? ს. ჯ.

¹⁸ ივ. ჯავახიშვილის ხელით სტრიქონის გასწვრივ წერია: „41 სოფელი“.

¹⁹ ამ ადგილას დოკუმენტის არშიაზე დასმულია ჯვარი.

²⁰ თავივლური ა-ნი ჩამატებულია სტრიქონს ზეით, ს. ჯ.

ნებლად (sic). ესე ასე მს[ა]ხურონ ყ[ოე]ლთა და მასპინძლობაჲ არ დააკ-
ლონ და სასჯულო ფიცით დააჯერონ, უსაქმონ და მოაკლებინონ.

ძველის გუჯრისაგ[ა]ნ²¹ ესე შევიძლეთ გ[ა]რდმოწერა ბო ს ე ლ თ ა²²:
პური ბ, დრამა დ, საბელი ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი ბ. ღუღს: პური ბ, დრამა დ,
ქალმ[ა]ნი ბ, საბელი ბ. თ რ უ ს ო ს: პური ვ, სოფლის თ[ა]ვს სამ-სამი დრა-
მაჲ და თვითო ზურგიელი, ქალმ[ა]ნი ვ, საბელი დ, — დახვდენ²³ სულ და
გამოუსვნიონ (sic) მთაწმინდის ბო ს ე ლ თ ა: პ<ი>რველ დრამა ა,
ქ<ა>ლმანი ა, საბელი ა, კაბიწი სამ<ა>რხო. ქო ლ ო თ ს (sic): პური ა,
დრ[ა]მა გ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ბ, საბელი ბ, კ[ა]ბიწი ს[ა]მ[ა]რხო. ვანს: პური ა,
დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, საბელი ა, კ[ა]ბიწი სამ<ა>რხო. ქ ვ ი ტ კ ი რ თ ა:
პური ა, დრამა ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ბ, საბელი ბ, კაბიწი (sic). ჩ რ დ ი ლ ა თ თ ა:
პური ა, დრამ[ა]ჲ ა, ს[ა]ბელი ბ, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა. ფ ი თ ე ს ი ა: პური ა, დრა-
მა ა, საბელი ა; რ<აი>ა ხუცესა ტყავი მკ[ა]რი და აბრასიკი.
წო ლ დ ს: პური ბ, დრამა ვ, ქალმ[ა]ნი ბ, საბელი ბ, სამ<ა>რხო კ[ა]ბიწი ბ;
რ[ა]ჲ ხუცესსა ტყ[ა]ვი და²⁴ მკარი და აბრასიკი და ყველი. ლ ე ლ ო ვ ა ნ ს:
პური ა, დრამა ბ, საბელი ერთი, ქ[ა]ლმანი ა, კაბიწი სამ[ა]რხო; რ<აი>ა
ხუცესსა ტყ[ა]ვი მკარი, ყველი და აბრასიკი. ა რ მ ა ზ ს: პური ა, დრამა გ,
ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, საბელი ბ, სამარხო კაბიწი ბ. წ ი ნ ზ ა ხ ო რ ს: პური ა, დრამა
ბ, საბელი ა, ქალმანი ა, სამარხო კაბიწი. რ[აი]ა ხუცეს ტყ[ა]ვი მკარი, ყვე-
ლი და აბრასიკი. უ კ ა ნ წ ი რ ს: პური ა, დრამა ბ, საბელი ა, კაბიწი სამ[ა]რხო;
რ[ა]ჲ ხუცეს ტყ[ა]ვი მკარი, ყველი და აბრასიკი. წ ი რ ს: პური ა, დრამა გ,
საბელი ა, ქ[ა]ლმ[ა]ნი ა, კაბიწი სამ[ა]რხო; რ[ა]ჲ ტყ[ა]ვი მკ[ა]რი, ყვე-
ლი და აბრასიკი. ქ ვ ე მ ო წ ი რ ს: პური ა, დრამა ბ, ქალმ[ა]ნი ა, საბელი ა,
სამარხო კაბიწი ა; რ[ა]ჲ ტყ[ა]ვი მკ[ა]რი, ყველი (და აბრ)ასიკი. ქ... ს: პუ-
რი ა, დრამა ბ, საბელი ა, ქალმ[ა]ნი ა, სამ<ა>რხო კაბიწი; რ[ა]ჲ 'ხუცეს
ტყ[ა]ვი მკარი, ყველი და აბრასიკი. კ ო რ ს ა ლ ს²⁵: პური ა, დრამა გ, საბე-
ლი ა, ქალმ[ა]ნი ა, სამ[ა]რხო კაბიწი; რ[ა]ჲ, ხუცეს ტყავი მკ[ა]რი, ყვე-
ლი და აბრასიკი. ტ ბ ე თ ს: პური ა, დრამა ა, საბელი ა, ქალმ[ა]ნი ა. რ[ა]ჲ
ხუცეს ტყ[ა]ვი მკარი, ყველი და აბრასიკი.

გო ლ გ ო თ ა ს მოვიდეს სამთავნ<ე>ლი, მოეგებნენ წინა ძმ[ა]ნი კრე-
ბულნი: წინამძღვარი, მონაზონნი, დედაბერნი ერთობით ჩვეულებისაებრ
დახუდენ საყვარლად. ყამი აწირვონ, გამოუსუჭნონ, დალოცნეს და წამოვიდეს.

სახელითა ღ[ვ]თისათა შემოვიდა სამთ[ა]ვნელ ფისკ[ოპო]ზი გრიგოლი
ქ[ორონი]კ[ონ]სა რ მ ზ პატრონის ერისთავს შალვას ბრძანებითა. მრავალი
უწესო საქმე ქმნილიყო. შევიყარენით ჩუჴნ ცრაზმისწვევისა სამის[ა]ვე წვევის
კრებულნი და მ[ა]მასახლისნი და ესე პირი მოგახსენეთ სამთ[ა]ვნელსა
და ჯ[ვარს]ა და ომფორსა: დღეს ამას უკანით (sic) რამ[ა]ნცა ხუცესმ[ა]ნ,
ანუ სვენდიკინოზმ[ა]ნთა, ანუ მეყვისთა²⁶, ანუ უწესოდ მოტაცებ[ე]ლთა, ანუ
გვრგვნი უკურობნეს, ანუ ჯ[ვარ]ი დასწერნეს, ანუ სარჯულო დაუმალოს,

²¹ სიტყვიდან „ძველის“ თითქმის ხელი იცვლება, ს. ჯ.

²² არშიაზე ივ. ჯავახიშვილის ხელით ამოწერილია სოფლების სახელები ბოსელთაღან დაწყე-
ბული გოლგოთათი გათავებული და შეჯამებულია: „20 სოფელი“.

²³ — ჩამატებულია სტრიქონი ზევით, ს. ჯ.

²⁴ ეს და ზედმეტი უნდა იყოს.

²⁵ რ-აჲ ჩამატებულია, ს. ჯ.

²⁶ აქ უ-ნი დაუწერიათ და წაუშლიათ, ს. ჯ. — მეყვისის შემდეგ, რედ.

რაცა ეპრიანებოდეს დააურვებინოს და შუა ვერცა პატრონი შემოუვიდეს, ვერცა ქვეყანა, რასაც ემართლებოდეს თუ არ მისგ[ა]ნ დანებებ<უ>ლიყოს, მისგ<ა>ნ წიგნი არ მოუვიდეს, — უბრალომცა არს. რაცა უყოს და ვინცა (sic) სჯ[უ]ლსა ამტკიცებდეს კ[ურთ]ხ[ეუ]ლ იყოს.

ციხისძირს²⁷: პური ბ, კომლზე²⁸ ბ კოდი. ქადაგიანში: პური ბ კომლზე კოდი²⁹. აღდანს³⁰: პური³¹ ბ კომლზე კოდი³².

დეკანოზს უნდა მიეზარებოდეს კვარხითს: პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური. ჩანგილარს: პური ბ, დრამა კომლზე პური. ბეგთათავს: პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური. ექთსოკამს (sic): პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური. იქითოქმს (sic)³³: პური ბ, კომლზე კოდი პური. თეზს: პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური. გარეყანთუბანს: პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური, ლამისყანას: პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური. ჰვთსა და ნოტრეს: პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური. ბიენის³⁴: პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური. იგოეთს: პური ბ, დრამა კომლზე კოდი პური. ფუნგის: პური ა, დრამა კომლზე კოდი პური. ი... რთს: პური ა, კომლზე დრ<ა>მა... ეჭიკურს: პური ორ კომლზედ კოდი პური (sic). ამგვარად მიართმევდენ.

ვინცა ვინ ამის ს[ა]მწყსოშია აზნ[ა]ურშვილი იყონ მ[ა]რთებ[უ]ლი ს[ა]წირ[ა]ვი³⁵ მიართვას: ცხენი, იარაღი, წ[ა]ს[ა]ხურ[ა]ვი და ნიშ[ა]ნი. დ[ა] უკ[ე]თუ მს[ა]ხ[უ]რი იყო ამგვარად: მ<ა>რთებ<უ>ლმა მს[ა]ხ[უ]რმა ცხენი და იარაღი, — დაბაილმა* ერთი ჯარი მიართვას. რ[ომელ]იც ხუცესი იყოს და ამისი ს[ა]მწყსო ეჭიროს და მოკ[ვ]დეს, თუ შეეძლოს მ[ა]რთებ[უ]ლის მს[ა]ხურის საწირავი მიართვას, უკ[ე]თუ არა — ერთი ჯარი³⁶. უკ[ე]თუ კა<ა>ცი მოკლას ვინმე, მკულელმა ხუთი ჯ[ა]რი მიართოს და მკ[ვ]დეს პ[ა]ტრონმა ერთი. უკ[ე]თუ ვინმე ცოლი გაუშვას, ხუთი ძროხა დაუეუროს (sic). უკ[ე]თუ ვინმე კუდი[ა]ნობ[ა]დ, ანუ მკითხაობ[ა]დ ქნას — ცხვირით გახეიბრდეს და თუ შეინ<ა>ნოს ორი ზროხა დაუეუროს. უკ[ე]თუ კუდიანობ[ა]დ დადღონ ვინმე, დამდაღემა (sic) ოთხი ძროხა მიართოს, — დადღ[უ]ლმა ერთი. უკეთუ ისიძოს³⁷ ვინმე, ოთხი ძროხა მიართოს და ბუშიც საყდრისა არის. უკ[ე]თუ უზიარ[ე]ბელი მოკლას (sic), ხუცესმა ა ძროხა დაუეუროს და თუ ხუცესმა ვერ შეიტყოს მკ[ვ]დრის პ<ა>ტრ<ნ>მა ა ძროხა მიართოს. უკ[ე]თუ მღ[ვ]დ[ე]ლ[ა]ნ უნ[ა]თლ[ა]დვი მოკლ[ა]დს ვინმე

²⁷ არშიაზე ციხისძირიდან ეჭიკურამდე ივ. ჯავახიშვილის ხელით ამოწერილია სოფლები და დაჯამებულია: „17 სოფელი“, ცოტა ქვემოთ: „საერთო ჯამი სამსავე ნაწილში მოხსენებული სოფლებისა: 78“.

²⁸ „კომლზე“ — ს. შემდეგ ერთი ასოს ადგილი ამოფხეკილი ჩანს სიტყვა „კომლი“ ამოფხეკილ ადგილას არის შემდეგ ჩაწერილი, ს. ჯ.

²⁹ ეს სიტყვაც შემდეგ არის ჩაწერილი ამოფხეკილ ადგილას, ს. ჯ.

³⁰ აღიანსა? ს. ჯ.

³¹ დრამის მაგიერ პური, ივ. ჯ.

³² ეს სიტყვაც შემდეგ არის ჩაწერილი, ს. ჯ.

³³ ნაფხეკ ადგილას არის ჩაწერილი, ს. ჯ. არშიაზე ივ. ჯავახიშვილის ხელით მიწერილია: „იქით აქეთ ოკამს“.

³⁴ ბენის? ს. ჯ.

³⁵ არშიაზე მიწერილია ივ. ჯავახიშვილის ხელით: „საწირავი“ და ხაზგასმულია,

³⁶ არშიაზე მიწერილია ივ. ჯავახიშვილის ხელით: „ფულის მაგიერ ჯარი, ძროხა“.

³⁷ არშიაზე ივ. ჯავახიშვილის ხელით მიწერილია: „სიძვა“.

* ეფიქრობ ესაა თავისებურად დაწერილი სიტყვა „დაბალი“. რედ.

(sic), ა ძროხა მიაართოს. უკ[ე]თუ უხუცოდ და უანდერძოდ მკ[ვ]დ[ა]რი ვინ-
მე დამარხოხ, ბ ძროხა მიაართოს. უკ[ე]თუ ვინმე სკნტიკინოზმ[ა]ნთა თ[ან]ა
დაეცეს (sic), ანუ მეყვსთა თ[ან]ა, — ჩაიქოლოს და უკეთუ შეინ[ა]ნოს და ძრო-
ხა მიაართოს. უკ[ე]თუ უქრმო დედაკ<ა>ცი მოიტ[ა]ცოს³⁸ ვინმე ცოლ[ა]დ
ბ ძროხა მიაართოს. უკ[ე]თუ ქრმიანი დედ[ა]კ[ა]ცი ვინმე მოიტ[ა]ცოს, დ
ძროხა მიაართვას. უკ[ე]თუ მღ[ვ]დ[ე]ლმ[ა]ნ ამგვ[ა]რ[ა]დ მოქმედს კ[ა]ცთა
ჯ[ვარ]ი დასწეროს განიკუჭთოს. და უკ[ე]თუ შეინ[ა]ნოს გ ძროხა მიაართვას.
უკ[ე]თუ მღ[ვ]დელ[ი], ანუ მთ[ა]ვარი ღირს იქმნას მეორედ ქორწინ[ე]ბ[ა]დ-
სა, ბ ძროხა მღ[ვ]დ[ე]ლმ[ა]ნ და მთ[ა]ვ[ა]რმ[ა]ნ მიაართვას. უკ[ე]თუ
მღ[ვ]დელმა[ნ] ანუ სა[ა]მღვდ[ე]ლ[ო]მ[ა]ნ იბ<ა>როს, ანუ მ<ა>ხვლი იწ[ა]-
დღოს — გ[ა]ნიკუჭთოს. და უკ[ე]თუ შეინ[ა]ნოს გ ძროხა მიაართვას. უკ[ე]თუ
შეაჩვენოს ვინმე და მღ[ვ]დელმა[ნ] უხუცოს, — გ[ა]ნიკუჭთოს, და თუ შეინ[ა]-
ნოს გ ძროხა მიაართოს. უკ[ე]თუ მღ[ვ]დელმა[ნ] სომეხს უხუცოს, ანუ ს[ა]ხლი
გაუნათლოს ბ ძროხა მიაართოს. უკ[ე]თუ ქ[ა]რთველმა[ნ] სომეხს ქალი მის-
ცეს ცოლად და ანუ მოიყ[ვ]ანოს, — მონ[ა]თლოს, ანუ გააშვ[ე]ბინოს, ს[ა]-
კ[ა]ნონო გ ძროხა მიაართვას. უკ[ე]თუ მღ[ვ]დელმა[ნ] ორს[უ]ლს ჯ[ვარ]ი
დასწეროს³⁹: გ ძროხა მიაართვას — თუ იცოდეს, თუ არა იცოდეს — ა. და მექორ-
წინემ გ ძროხა მიაართვას. უკ[ე]თუ ჯ[ვარ]დაუწერელ[ა]დ კ[ა]ცმა ცოლი და-
აორს[უ]ლოს გ ძროხა მიაართვას. უკ[ე]თუ ვინმე მარხვა ჰ[ა]მოს ბ ძროხა მი-
ართვას. უკ[ე]თუ ვინმე მარხვაში ხსნილურ[ა]დ ქორწილი ქნას, გ ძროხ[ა]დ
მიაართვას. უკ[ე]თუ მღ[ვ]დელმა[ნ] ავადმყოფს სხვს ჰ[ე]ლით ს[ა]ზიარ[ე]ბ[ე]-
ლი გ[ა]უგზ[ავ]ნოს გ[ა]ნიკუჭთოს და უკ[ე]თუ შეინ[ა]ნოს გ ძრო-
ხ[ა]დ მიაართვას. უკ[ე]თუ მღ[ვ]დელმა[ნ] უს[ა]ყდროდ და უემბ[ა]ზოდ ყრმა-
სა ნ[ა]თლ[ი]სცეს, — გ[ა]ნიკუჭთოს და უკ[ე]თუ შეინ[ა]ნოს გ ძრო-
ხ[ა]დ მიაართვას. უკ[ე]თუ მღ[ვ]დელმა[ნ] უც[ო]დინარობით მ[ა]რხვა აჰამოს⁴⁰
ვისმე, დ ძრ[ო]ხა მიაართვას.

დედასაცა ესრეთ ეწერა: რ[ომე]ლსა პირითა მხიარ[უ]ლითა წ[ინაშ]ე
ო[ფლისა]დ წ[არ]დგ[ო]მ[ა]დ გენებოს, ამა წესსა და რიგსა ნუ მოშლით. ვინც
მოშალოს, პასუხი შ[ე]ნ მიეც მღ[ვ]თეებ[ა]ო. ესე ძუჭლითაგ[ან] დამტკიცე-
ბული არის და ჩ[ვე]ნი ბრძანებად ასე უნდა⁴¹ გათავად ეს⁴².

ს[ო]ფლებსა ამ[ა]ს ვინცა აზნ[ა]ურმ[ა]ნ, ანუ გლ[ე]ხმ[ა]ნ კ[ა]ცი მოკლ-
[ა]ეს, მეს[ა]მედი სისხლი ღებ[ა]ეს (sic) უნდად (sic) მიაართვას მიცვ[ა]-
ლ[ე]ბ[უ]ლის მოს<ა>სხს<ე>ნ<ე>ბედად (sic). სამთავნელს სამწყსო-
ში შესვ<ლ>ა ვერავინ დაუშალოს. ამის ნამეტნავი ვერც სამთ[ა]ვნელმა[ნ]
მ<ი>უმბატოს დ[ა] თაც ამაში გ[ა]ნაჩენი და საყდრის წესი გამოსაღები იყოს
ნურგინ დააკლებს. დაიწერა ბძან[ე]ბ[ა]დ ესე ჩ[ვე]ნი ქ[ორონი]კ[ონ]სა
ტ[ა]ა, ინდიკტიონსა მეფობისა ჩ[ვე]ნის[ა]სა იე. პ[ე]ლითა კარის წინამძღ-
[ვ]რის დანიელისითა.

³⁸ არშიაზე ივ. ჯავახიშვილის ხელით მიწერილია: „ქალის მოტაცება“.

³⁹ ივ. ჯავახიშვილის ხელით არშიაზე მიწერილია: „ორსულის ჯვარის დაწერა“.

⁴⁰ ამ სიტყვაში პირველი ასო ა-ნი ჩამატებულია.

⁴¹ ეს სიტყვა ჩამატებულია ზემოლან, ს. ჯ.

⁴² არშიაზე მიწერილია ივ. ჯავახიშვილის ხელით ფანქრით: „ალბათ 1459 წლის დედნისგან
არის შევითვან აქამომდე გადმოწერილი.“ მეღნი: „მაგრამ შეცვლილად, რათგან კაბიწის მაგიერ
კოლია და ღრამის მაგიერ პური. 1673 წ. მდგომარეობას გვისურათებს“.

სახ[ე]ლითა დ[ვთისა]თა მ[ა]მისა ძის[ა]თა და ს[უ]ლისა წ[მინდი]-
ს[ი]თა მ[ეო]ხ[ე]ბითა ხ[ა]ტისა დ[ვ]თეების[ი]თა ესე წიგნი მოგ[ე]ცით
ჩ[ვე]ნ, სამთ[ავ]ნელ ეფისკ[ოპ]ოზ[მ]ან გრიგოლი, თქვე[ნ] ბ[ა]ტ[ო]ნს
მ[ა]მქანს და თქვე[ნ]თა შვლთა გურზის და რამადანს მ[ა]ს ქ[ამს]ა შ[ინ]ა,
ოდეს გ[ა]რისხდა დ[მერთ]ი და ბ[ა]ტ[ო]ნი ვირშელი მიიცვ[ა]ლა, მისთვის
სააღაპოდ შვდის საპალნის ჩას[ა]ვ[ა]ლი შემოსწირეთ ხ[ა]ტს მდ[ვ]თეებ[ა]მს
და ჩ[ა]ვდგით საყდრის ძირს ჩრდილოეთით, ასრე რომე ყ[ოველ]თა წელთა
აღივსებოდეს და რა პირველ მოეჭდებოდეს, დეკ[ა]ნოზი ქ[ამს]ა სწირევდეს
მისის სულის[ა]თ[ვის]ს და აღაპი გ[ა]რდიწდებოდეს. ვინც ასე არ გაათაოს,
ანუ სამთ[ავნე]ლმ[ა]ნ და ანუ სხვამ [ა]ნ ქ[ა]ცმ[ა]ნ რისხავსემცა მ[ა]მა,
ძე და ს[უ]ლი წ[მინდი]ა. კრულ, წყეულ და შეჩვენებულ იყოს ამ[იე]რ უკ-
უნისამდ[ე] ქ[ქრისტე]ს მადლითა ა[მინ]!. შანავაზ. გიორგი.

3. XVII ს. კომღების ნუსხა. დედანი. 71 სმ.×18 სმ. გაყვითლებული ქაღალდი. მხედ-
რული. თავნაკლული. რესტავრირებული. განკვეთის ნიშნად ნახმარია ორ-ორი წერტილი.
საბუთის ზურგზე საბუთისავე ხელით აღნიშნულია სპა. ზურგის მეორე ბოლოში სხვა ხელით
მიწერილია: „კაცების წიგნი“. კიდევ სხვა ხელით: „ალავერდისა“. Ad 848.

- | | |
|--|-----------|
| 0 ქ. გიორგი ზაზუტაშვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. ბერო ბაინდურაშვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. იასე ბერუკაშვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. თუშიშვილი ჭიჭია | კუამლი ა. |
| 0 ქ. ოტია ქაფთარაშვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. ივანაშვილი გიორგა | კუამლი ა. |
| 0 ქ. პაპოშვილი მახა | კუამლი ა. |
| 0 ქ. ბაბილაშვილი ელისბარა | კუამლი ა. |
| 0 ქ. მამისიმედი გარდაბმულის-შვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. ჩუკუმა (sic) ნადირა | კუამლი ა. |
| 0 ქ. გოგილაშვილი ელისბარა | კუამლი ა. |
| 0 ქ. დემეტრე მამულაშვილი ⁴³ | კუამლი ა. |
| 0 ქ. ბანცური მამა | კუამლი ა. |
| 0 ქ. იმის განაყოფი ბანცური | კუამლი ა. |
| (0) ქ. პაპუნა ყიულაშვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. წერაკუნტაშვილი ესტატე | კუამლი ა. |
| 0 ქ. ზუციაშვილი ლაზარე | კუამლი ა. |
| 0 ქ. ბერი პაპნაშვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. ხლაპიაშვილი გიორგი | კუამლი ა. |
| (0) ქ. ხლაპიაშვილი პატა | კუამლი ა. |
| 0 ქ. პაპუა შაუგრის-შვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. ბეჟანიშვილი ბერო | კუამლი ა. |
| 0 ქ. გიორგი ბეჟანის-შვილი | კუამლი ა. |
| 0 ქ. გიუნაშვილი შუშანა | კუამლი ა. |
| 0 ქ. ბერო სვიმნიკაშვილი | კუამლი ა. |

⁴³ დედანში ხაზი აქვს ქვეშ გასმული.

4. 1667 წ. ივლისის 27. მზითვის წიგნი შაჰნავაზ მეფის ასულისა⁴⁶. დედანი. 700 × 19,36 სმ. თეთრი ქაღალდი. მხედრული. გაცვეთის ნიშნად თითოეული სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. თავში დაზიანებული. რესტავრირებული. Hd 1624.

...საყდრის იარალი (შ)ემდეგი იაგუნდი ოთხი, ზუ(რმუხტი)... ერთი ხოშო-რი მარგალიტი, ოთხი (ლა)ლი. მაცხოვრის ხ ა ტ ი მისი ოქროს ჯი... არის ფრანგ ფასანდი იაგუნდი ერთი... რვა მარგალიტი, ათი ნიშაბური... ფირ(უზი)...თ მო-ჰედილი ყოვლად წმინდის ხ ა ტ ი ერ(თი)...რი... მარგალიტი ორასოთხმოდა ხუ-თი⁴⁷. კიდევ მოთვალული, დახატული ყოვლად წმინდის ხ ა ტ ი, ერთი სანაწილე ზედ ბურავს. დიდი დ უ რ ნ ა ჯ ა ბ ი ერთი და მისი შემდეგი დ უ რ ნ ა ჯ ა ბ ი ექუსი⁴⁷. კიდევ დახატული მაცხოვრის ხ ა ტ ი ერთი⁴⁷. კიდევ დახატული ყოვლად წმინდის ხ ა ტ ი ერთი⁴⁷, კიდევ დახატული (წმინდის) გიორგის ხ ა ტ ი ერთი.

კიდევ სახარება მოჰედილი და ოქროს მელნით დაწერილი ერთი, კიდევ სახარება პატარა ა⁴⁸, ჟამნი ერთი, დავითნი ერთი, ყოვლად წმინდის მიცვალების წიგნი ერთი, წმინდის გიორგის წამების წიგნი ერთი, დაუჯდომელი ერთი, წმინდის მარინეს წიგნი ერთი. კარის დეკანოზი ა⁴⁹.

გარეშეს წიგნებისაგან: ვეფხისტყაოსანი წიგნი ერთი. ბაამანიანი წიგნი ერთი, დარეჯანიანი წიგნი ერთი.

მძიმედ ხასას მარგალიტით და ოქროს სირმით ნაკერი. ხასას სიასამურ-ზედ გარდაკრული ქუდი ერთი, მას ზედან არის მარგალიტი სამი ათას ხუთას ოცდასამი, კიდევ ოქროს სირმით შეკერილი ხასას სიასამურზედ გადკრული ქუდი ერთი, კიდევ ხასას სიასამურზედ გარდაკრული სირმით შეკერილი ქუდი ერთი, კიდევ ოქროს სირმით შეკერილი ჯილღაოს ქუდი ერთი, კიდევ იალქანი მურასა ერთი, მაზედან არის ხოშორი მარგალიტი სამი ათას ორას ოცდახუთი, ოქროს სინსილა ორას შვიდი, იმისი მურასა ოქროს საჯიღაე ერთი — მაშიგან ზის პატიოსანი დიდი ზურმუხტი ერთი, ფრანგ ფასანდი დიდი იაგუნდი რვა, ლურჯი იაგუნდი ორი, დიდი მარგალიტი ოთხი, სხვა მათი შემდეგი იაგუნდი ასი, ზურმუხტი ორმოცდაათი, ხოშორი მარგალიტი ორმოცდაათი ჯინჯილში სხდეს, თაჰნიშანი ნიშაბური ფირუზი ოცი, მისი შემდეგი ფირუზა სამასი, საჯიღე მისის ხასას ზილფითა, კიდევ პატიოსანი ოქროდ მოჰედილი და ოქროს სირმით ნაკერი იალქანი ერთი, ქუდისა და იალქნის ჯუშალი ექუსი⁵⁰.

ხალასად ნაკერი და საია ლეჩაქი ერთი ცხრა. რუფაქი და სანასკვე ხალასად ნაკერი და საია ერთი ცხრა.

დიდი საყური ბადახშოვანის ლალისა ჯუფთი ერთი, იმაზედ არის დიდი მარგალიტი ორი, ნიშაბური ფირუზა ორი, საყურის... ფასანდი იაგუნდი ოცდაათოთხმეტი, ნიშაბური ფირუზი ოცდაათოთხმეტი; მურასა და პატიოსანი ყელსაბამი ერთი, მას ზედან არის დიდი და ხასა მარგალიტი ასოცი, მაშიგან ზის დიდი ბადახშანის ლალი თოთხმეტი, ფრანგ ფასანდი დიდი იაგუნდი ერთი, ზურმუხტი ექუსი, ოქროს ბირკი ორასი, ოქროს სინსილა ოცდასამი. საქოჩრე

⁴⁶ იხ. ივ. ჯავახიშვილი „საქ. ეკონ. ისტორიის“ წიგნი I. გვ. 103—109.

⁴⁷ ამ სიტყვის შემდეგ გვეყვებოდა რკალი სინგურით.

⁴⁸ კიდევ სახარება პატარა ა ჩამატებულია.

⁴⁹ კარის დეკანოზი ა ჩამატებულია.

⁵⁰ ქუდისა და იალქნის ჯუშალი ექუსი—სინგურით წერია.

ერთი, მას ზედა არის ხოშორი მარგალიტი ოთხას ოთხმოცდა თურამეტი, ფრანგ ფასანდი იაგუნდი თურამეტი, ნიშაბური ფირუზა თურამეტი. კიდევ მძიმედ მომარგალიტული თმისატანი სამი, არის მას ზედა ხოშორი მარგალიტი ათას ოთხას სამოცი.

ჩიქილის იარაღისაგან: მძიმედ მოთვალ-მომარგალიტული ჭინჭილი ერთი, მას ზედან არის დიდი მარგალიტი ას და თორმეტი, ფრანგ ფასანდი იაგუნდი ოთხმოცდაათი, ნიშაბური ფირუზა ოცდათერთმეტი, მაზედ არის მძიმედ მოთვალ-მომარგალიტული ოქროს⁵¹ ამბარჩა ერთი, არის მაზედან ფრანგ ფასანდი დიდი იაგუნდი ერთი, მისი შედეგი იაგუნდი ათი, კიდევ მათი შედეგი იაგუნდი თხუთმეტი, დიდი მარგალიტი ათი, ზურმუხტი ოცი. კიდევ მუშაბახად მოჭრილი ფრანგული ოქროს ჯაჭვი ერთი. კიდევ მჭარსაკიდი დაწნული ოქროს ჯაჭვი ერთი. პირის მარგალიტი ერთი — არის პატიოსანი მარგალიტი მარცვალი სამოცდახუთი, არის მისს ორს კავზედა ფრანგ ფასანდი იაგუნდი ორი და ორს ჭინჭილზედა ფრანგ ფასანდი⁵² იაგუნდი რვა და ნიშაბური ფირუზა ათი. მურასა ოქროს ქამარი ერთი, მას ზედან არის ფრანგ ფასანდი დიდი იაგუნდი თორმეტი, მისი შედეგი იაგუნდი თხუთმეტი, ნიშაბური დიდი ფირუზი ორმოცი, ხოშორი მარგალიტი ოცდაათი, მისი გვერც საკიდი მურასა ოქროს ღანა სამი. არის მაზედა ფრანგ ფასანდი იაგუნდი ორმოცდაათი, მისი შედეგი იაგუნდი ასოცი, ნიშაბური ფირუზა ასორმოცი. ორისავე ჭელსაბამი ყოლბადი ჭუვთი სამი. არის მაზედა დიდი მარგალიტი ას ოთხმოცდათექვსმეტი, ზაბარჯადი ათი, თაჰნიშან გიშერი ოცი, ნიშაბური ფირუზა რვა, მარჯანი ოცდაოთხი, ოქროს ბირკი ას ორმოცდარვა. მარჯანის კრიალესონი სამი, მათ⁵³ ურევია დიდი⁵⁴ მარგალიტი ოცდარვა, მისი შედეგი მარგალიტი ოთხასი, ოქროს ბირკი ხუთი. კიდევ ქარვის კრიალესონი ერთი, მაში ურევია დიდი მარგალიტი ცამეტი, მისი შედეგი ასათი. კიდევ შავის ქარვისა ვერცხლის სირმით მორთული კრიალესონი ერთი. კიდევ ფრანგული ვარაყიანი დიდი კრიალესონი.

ერთი ხასა და პატიოსანი ათიყი, აღმასის ბეჭედი ორი, ხასას ფრანგ ფასანდის ყირმიზის იაგუნდის ბეჭედი ხუთი, ბადაწმოვანის ლალის ბეჭედი ერთი. ობოლის მარგალიტის ბეჭედი სამი, ნიშაბური ფირუზის ბეჭედი ორი, საბეჭდავი ოქროსა ერთი, საცერე გათლილის ღურნაჯაბისა ერთი, არის მაზედა ფრანგ ფასანდი იაგუნდი ოთხი, ნიშაბური ფირუზა სამოცი. ვერცხლით მოჭედილი საპირისფარეშოს გოდორი ერთი, მისის ოქროქსოვილის ხალიჩითა მძიმედ მოთვალ-მომარგალიტული, შაბაქად მოჭრილი ოქროთ მოჭედილი მურასა ბროლის სარკე ერთი, არის მასზედა ფრანგ ფასანდი დიდი იაგუნდი⁵⁵ ოთხი, მისი შედეგი იაგუნდი სამოცი, ზურმუხტი ერთი, მარგალიტი ხოშორი ოთხი, კიდევ წურილი იაგუნდი ოცდაათი, ნიშაბური ფირუზა ორასი. კიდევ ვერცხლით მოჭედილი სარკე ერთი, კიდევ რუსული ორკარი დახატული თალხის დიდი სარკე ერთი, კიდევ ფრანგული ბროლის დიდი სარკე ერთი, კიდევ რუსული დიდი სარკე ა⁵⁶, კიდევ სადაფქარი ხათაბანდის ტარიანი სარკე ერთი.

⁵¹ ოქროს ჩამატებულია.

⁵² დედანში: ფასანგი.

⁵³ დედანში: მთში.

⁵⁴ დედანში წაუშლიათ სიტყვა მსხვილი და მის ნაცვლად დაუწერიათ დიდი.

⁵⁵ დედანში: იაგ.

⁵⁶ კიდევ რუსული დიდი სარკე ა.—ჩამატებულია.

ოქროს სირმით ხალასად და მიიმედ შეკერული პატარა მარაო ერთი. ოქროს სამტოტი საჩხირე ერთი, მისის სამის ოქროს თავსახურავითა, ორის ოქროს ჩხირითა და ორის ვერცხლის ჩხირითა. ოქროს მურასა სასურმე ერთი, მას ზედა არის ფრანგ ფასანდი იაგუნდი რვა, ზურმუხტი თექუსმეტი, ფირუზა ას ათი; მისი სურმით ოქროთ მოჭედელი ჩხირი ერთი, მას ზედა არის ფრანგ ფასანდი იაგუნდი ხუთი. ოქროს თმის საყოფი ერთი. ოქროს მურასა ჩოფი ერთი, მას ზედა არის ფრანგ ფასანდი იაგუნდი სამი, ნიშაბური ფირუზა ორი, ოქროთ მოჭედელი მურასა სადაფი ერთი. არის მაზედა ფრანგ ფასანდი დიდი იაგუნდი ერთი, მისი შედეგი იაგუნდი ორმოცდაათი, ნიშაბური დიდი ფირუზა ოთხი, მისი შედეგი ფირუზა ასი, მისივე ბრძოლის სალესი ოქროთ მურასად მოჭედელი ერთი, მაზედა არის ფრანგ ფასანდი დიდი იაგუნდი ოთხი, მისი შედეგი იაგუნდი თექუსმეტი, ნიშაბური ფირუზა ხუთი. უმარილის ოქროს კოლოფი ერთი, ვერცხლის დაწნული გოდორი ერთი, კიდეც ინდაური დახატული ვერცხლით მოჭედელი ზანდუხა ერთი, კიდეც ხათაბანდის სკივრი ერთი, ოქროს სირმით ხალასად შეკერილი საქინძვისთვე ერთი,—ორის ხასას ობოლის მარგალიტის ქინძისთავითა. საქინძისთვეზედ არის მარგალიტი რვას სამოცი, მარჯანი ორმოცდა ჩვიდმეტი. ოქროს ჩქიფი ერთი, ოქროთ მოჭედელი მურასა სავარცხელი ორი, მაზედა არის ფრანგ ფასანდი დიდი იაგუნდი ოცდახუთი, მისი შედეგი იაგუნდი ორას ოცდაათი, ფირუზა ოთხმოცი. სადაფის ოქროთ მოჭედელი საპირისფარემოს ჯამი ერთი, ქარვის ოქროს მინაქარი საწებოვ ფიალა ერთი, მაზედა არის მარგალიტი შვიდი. საწებოვ ვერცხლი ფიალა ა, ნალბაქი ა. კიდეც⁵⁷ საპირფარემოს ვერცხლის ნალბაქი ერთი, საპირისფარემოს გოდრის სახურავი ჩარყაფად შეკერილი ერთი.

აბანოს იარაღისაგან: დიდი⁵⁸ საბანოვე ვერცხლის ჯამთასი ერთი, ვერცხლის დიდი ჩორღათო ერთი, მისი შედეგი მომცრო ჩორღათო ერთი, შიგ საბანელი ვერცხლის დიდი ტაშტი ერთი, ვერცხლით მოჭედელი ფეწის ქუა ერთი, აბანოს პერანგი ორი, ყადიფა ხასა ჯუფთი, ერთი ფუტა ხასა, ერთი ყირმიზი ხასა.

მერდინის პერანგი ერთი, მისის ცხრის ოქროს მურასას დილითა და მარგალიტის საყელოთა. მაზედა არის ხასა ხოშორი მარგალიტი ას ოთხმოცდა ერთი, ფრანგ ფასანდი იაგუნდი ოცდა თექუსმეტი, მისი შედეგი იაგუნდი სამოცდა ორი, ფირუზა ორმოცდა შვიდი. კიდეც სურმის ფერი მერდინის პერანგი ერთი, მისის ცხრის მურასას ოქროს დილითა. არის მას ზედა იაგუნდი ფრანგ ფასანდისა სამოცდაათი და ფირუზა სამოცდათორმეტი. კიდეც გულიხარი მერდინის პერანგი ერთი, მისის ცხრის მურასას ოქროს დილითა, მაზედა არის ფრანგ ფასანდი იაგუნდი სამოცდათი და ფირუზა სამოცდა თორმეტი. აღისფერი ხალასად მუყაიაშით ნაკერი პერანგი ერთი, მისის ერთის ობოლის მარგალიტის დილითა. ნარინჯისფერი მერდინის პერანგი ერთი⁵⁹, მისის ერთის ობოლის მარგალიტის დილითა. ისფერი მერდინის პერანგი ერთი⁶⁰, მისის ერთის ობოლის მარგალიტის დილითა, ყირმიზი მარამაშის პერანგი ერთი, მისის ერთის ობოლის მარგალიტის დილითა, კიდეც ყირმიზი მარამაშის პერანგი ერ-

⁵⁷ საწებოვ ვერცხლი ფიალა ნალბაქი ა, კიდეც—ჩამატებულია.

⁵⁸ აბანოს იარაღისაგან დიდი—დაწერილია სინგურით.

⁵⁹ ერთი—ჩამატებულია.

⁶⁰ ერთი—აქაც ჩამატებულია.

თი, მისის ერთის ობოლის მარგალიტის ღილითა. კიდევ სურმისფერი მარმარის პერანგი ერთი, მისის ერთის ობოლის მარგალიტის ღილითა. ამას გარეთად მერდინისა და მარმარის ფერად-ფერადი პერანგი სამი ცხრა. მისი ამხანაგი ჩარყაფად ოქრომკედით ნაკერი სამი და საია ფერად ფერადი სეიდიშისა სამი ცხრა.

ოქროს სირმით⁶¹ ხალასად შეკერილი მომარგალიტული ტყავი ერთი ხასას სიასამურზედ გარდაკრული. მას ზედან არის ზოშორი მარგალიტი ორმოცდათათას ორას ოცი, მარჯანი სამიათას ექუსას სამოცი, არის იმის ერთს ჯუფთს ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი ხუთას ოცდაექუსი, ფრანგ ფასანდი დიდი იავუნდი ორი. ქურთუბალის ფოჩზედ არის დიდი მარგალიტი რვა და ზოშორი მარგალიტი ხუთას ოთხმოცდა ექუსი, ოქროს ბირკი ას ორმოცდა თექუსმეტი, ოქროს სინსილა ორმოცი, ზაბარჯალი ასი, თაჰნიშანი გიშერი თექუსმეტი. კიდევ თეთრის ფრანგულის სტავრა ოქროქსოვილის ტყავი ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული, არის იმის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას ორმოცდა ხუთი, მარჯანი სამოცი. კიდევ ტყავი ყუთილის ჩათმა ოქროქსოვილისა. ერთი ხასას სიასამურზედ გარდაკრული არის, იმის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას ათი, მარჯანი სამოცი. კიდევ ტყავი ყირმიზის სარასრისა ერთი ხასას სიასამურზედ გარდაკრული. არის იმის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას ოცდაათი, მარჯანი ორმოცდა თხუთმეტი. კიდევ ტყავი ხასას ისპანის დიბა ოქროქსოვილისა ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული. არის იმის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას ორმოცდა ერთი. კიდევ ტყავი ალისფერის ნახლის ზარბაბისა ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული. არის იმის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას ხუთი, მარჯანი ორმოცდაათი. კიდევ ჩაქსული ყუთილის ზარქამის ტყავი ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული. არის იმის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას და შვიდი, მარჯანი ორმოცდა სამი. კიდევ კორცისფერის ფრანგულის დიბის ტყავი ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული არის. იმის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას ორმოცდაათი, მარჯანი ოთხმოცი. კიდევ აშიადარი გურგაზის ხასას ფრანგულის ატლასის ტყავი ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული⁶². არის იმის ქურთუბალზედ დიდი მარგალიტი — თხუთმეტი, ზოშორა მარგალიტი ათას სამოცი, ნიშაბური ფერობა (sic) ას და თორმეტი. სიასამურის ტყავის ჯუმალი ერთი ცხრა⁶³. კიდევ თეთრის ფრანგულის ხარა ზარბაბის ტყავი ერთი, კურდღლის ბეწუზედ გარდაკრული. არის იმის მარგალიტის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას ოცი, მარჯანი ოთხმოცი, კიდევ ლაჟურდისფერი ფრანგული დიბის ტყავი ერთი. კურდღლის ბეწუზედ გარდაკრული. არის იმის მარგალიტის ქურთუბალზედ ზოშორი მარგალიტი სამას რვა და მარჯანი სამოცი. კიდევ ყუთილის ისპანის დიბის ტყავი ერთი, კურდღლის ბეწუზედ გარდაკრული. სამას ათი ზოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ ალისფერის ფრანგულის დიბის ტყავი ერთი. კურდღელზედ გარდაკრული სამას თორმეტის ზოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ ყვითლის იეზდურის დიბის ტყავი ერთი, კურდღელზე გარდაკრული სამასის ზოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ

⁶¹ ამ სიტყვის გასწვრივ არშიაზე აღნიშნულია ორი ასო ტ და ყ.

⁶² ხასას სიასამურზედ გადკრული — ჩამატებულია.

⁶³ სიასამურის ტყავის ჯუმალი ერთი ცხრა — დაწერილია სინგურით.

ჩალისფერი ფრანგულის დიბის ტყავი ერთი, კურდღლის ბეწუხედ გარდაკრული, სამასის ხოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ ჩაქსულის დიბის ტყავი ერთი, კურდღლის ბეწუხედ გარდაკრული, მისის სამას ოცის ხოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ თეთრის ისპანურის დიბის ტყავი ერთი, კურდღლის ბეწუხედ გარდაკრული, მისის სამასის ხოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ იეზდურის ჩაქსულის დიბის ტყავი ერთი, კურდღლის ბეწუხედ გარდაკრული, მისის ხოშორის სამას და ცხრის მარგალიტის ქურთუბალითა. კურდღლის ტყავის ჯუმალი ერთი ცხრა⁶⁴.

ხასას ფრანგულს შავს ატლასზედ ოქროს სირმით ჩარყაფად ნაკერი მომარგალიტული ტყავკაბა ერთი ხასას სიასამურზედ გარდაკრული. არის მას ზედა ხოშორი მარგალიტი ოციათას ექუსას ორმოცდაჩუდიმეტი. მის ქურთუბალზედ არის ხოშორი მარგალიტი სამას თოთხმეტი. კიდევ ალისფერს ფრანგულს ატლასზედ ხალასად ნაკერი ტყავკაბა ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული. მისის სამას ექუსის ხოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ ხასას ფრანგულს ატლასზედ მუყაივით ჩარყაფად ნაკერი ტყავკაბა ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული, მისის ორას თხმეც და ხუთის ხოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ ყუითლის ჩაქსულის ისპანის დიბის ოზბეგი ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული არის. მის სამს ჯუფთ ქურთუბალზედ ხოშორი მარგალიტი ცხრას ოცი, ოქროს სინილა ას თორმეტი. კიდევ ყუითლის ისპანის დიბის ტყავკაბა ერთი, კურდღელზედ გარდაკრული. მისის სამასის ხოშორის მარგალიტის ქურთუბალითა. კიდევ მწვანეს ხასას ფრანგულს ატლასზედ ხალასად ნაკერი თავალა ერთი, ხასას სიასამურზედ გარდაკრული. არის მის სამს წყუილს ქურთუბალზედ ხოშორი მარგალიტი რვაას ორმოცდაათი. კიდევ ალისფერს ფრანგულს ატლასზედ მუყაივით ჩარყაფად შეკერილი თავალა ერთი, კურდღლის ბეწუხედ გარდაკრული. კიდევ ყუითლის იეზდურის დიბის თავალა ერთი, კურდღელზედ გარდაკრული. კიდევ ხასას თეთრის დიბის თავალა ერთი, კურდღლის ბეწუხედ გარდაკრული. ტყავკაბისა და თავალის ჯუმალი ცხრა. ხუთი ხასას სიასამურისა და ოთხი კურდღლისა⁶⁵.

ფრანგული ხასას დიბა ოქროქსოვილის ლაქურდისფერი კაბა ერთი. შვიდის ჯუფთის ოქროს ჩაფრასტითა, ექუსის ოქროს მურასას ღილითა. მაზედ არის ფრანგ ფასანდი იაგუნდი თოთხმეტი, ნიშაბური ფირუზა თხუთმეტი, სახლის ოქროს ღილი ორი ცხრა. ყუითლის ფრანგულის დიბა ოქროსქსოვილი კაბა ერთი. ცხრის ოქროს ბუდიანის ხასას ზაბარჯადის ღილითა და ხუთის ხოშორის მარგალიტის ღილითა. მისი მარგალიტი არის სამას და შვიდი. შიგ ოქროს ბუდით ჩაქერებული ფრანგ ფასანდი იაგუნდი ოცდაათი, გათლილი ფირუზა ოცდახუთი. კიდევ თეთრის ისპანის ხასას დიბის კაბა ერთი, ცხრის მუშაბახად მოჭედილს ამბრით გატენილის ოქროს ღილითა. არის მაზედა ფრანგ ფასანდი იაგუნდი ასი და ფირუზა ასი. კიდევ ყირმიზი ფრანგული ხარა ზარბაბის კაბა ერთი, ხუთის მარგალიტის ღილითა. არის მაზედ ხოშორი მარგალიტი სამას ათი, ფრანგ ფასანდი იაგუნდი ოთხი, ოქროს ბირკი ასოცი. კიდევ იეზდური თეთრის დიბის კაბა ერთი, ხუთის ოქროს მურასას ღილითა. არის მაზედ

⁶⁴ კურდღლის ტყავის ჯუმალი ერთი ცხრა—სინგურით წერია.

⁶⁵ ტყავკაბისა და თავალის ჯუმალი ცხრა, ხუთი ხასას სიასამურისა და ოთხი კურდღლისა—სინგურით წერია.

ფრანგ ფასანდი იაგუნდი თორმეტი, ნიშაბური ფირუზა თორმეტი. კიდევ ნარინჯისფერის ხასას ოქროქსოვილის კაბა ერთი, ექუსის ოქროს მურასას ღურნაჯაბის ღილითა. მაზედან არის ფეროზა ნიშაბური ექუსი. კიდევ მწვანის ხასას ოქროქსოვილის კაბა ერთი, ექუსის ოქროს მუშაბა-ლის მურასას ღილითა. მაშიგან ზის ფირუზი ნიშაბურისა ორმოცდა თხუთმე-ტი. კიდევ ალისფერის ფრანგულის ხარის კაბა ერთი, თორმეტის ოქროს მუ-რასას ბროლის ღილითა. მაშიგან ზის ნიშაბური ფირუზა თორმეტი. კიდევ იეზდური ჭორცისფერი ღიბის კაბა ერთი, ათის ოქროს ბუდიანის ზურმუხ-ტის ღილითა და ხუთის ოქროს მურასას ღილითა. მაზედა არის ფრანგ ფასან-დი იაგუნდი ათი. ხომორი მარგალიტი ხუთი, ნიშაბური ფირუზა ათი, სახელ-ზედ ოქროს ღილი ორი ცხრა. კიდევ ისპანური თეთრის ღიბის კაბა ერთი, მისის ათის ოქროს ბუდიანის ფრანგ ფასანდის იაგუნდის ღილითა და ხუთის ოქროს მურასას მუშაბახად მოჭრილის ღილითა. არის მაზედა ნიშაბური ფი-რუზა ორმოცდა თხუთმეტი. კიდევ იეზდური ნახლბაბი თეთრი კაბა ერთი, მისის ათის ოქროს ბუდიანის ფრანგ ფასანდის იაგუნდის ღილითა და ექუსის ოქროს მუშაბახად მოჭრილის მურასის ღილითა. მაზედან არის ნიშაბური ფი-რუზა ოცდათხუთმეტი. კიდევ ხასა ოქროქსოვილის კაბა ერთი. ექუსის ოქ-როთ მოჭედილის მურასას ბროლის ღილითა. მაზედან არის ნიშაბური ფირუზა ექუსი, მურასას ღილიანის კაბის ჯუმალი ერთი ცხრა⁶⁶. კიდევ ინდაური თეთ-რის ზარქაშის კაბა ერთი. კიდევ თეთრის ფრანგულის ხარა ოქროქსოვილის კაბა ერთი. კიდევ ყირმიზის ფრანგულის ღიბის კაბა ერთი. კიდევ ალისფე-რი ფრანგულის ღიბის კაბა ერთი. კიდევ ჩარყაფად მუყაიშით ნაკერი კაბა⁶⁷ ერთი. კიდევ გუჯრათის ზარქაშის კაბა ერთი. კიდევ იეზდური ღიბის კაბა ერთი. კიდევ თეთრის ღიბის კაბა ერთი. კიდევ ყუთილის იეზდურის ღიბს კაბა ერთი. კიდევ თეთრის ოქროქსოვილის ისპანური დარაიბავთის კაბა ხუ-თი. კიდევ იასამანის ფერი ოქროქსოვილი დარაიბავთის კაბა ორი. კიდევ იეზდური ბროწეულყუყუაილისფერი ოქროქსოვილის კაბა ერთი. კიდევ ნა-რინჯისფერი ოქროქსოვილის კაბა ორი. კიდევ ჭორცისფერი შააშრაფის ოქროქსოვილის კაბა ორი. კიდევ ნარინჯისფერი შააშრაფის ოქროქსოვილის კაბა ერთი. კიდევ ალისფერი ოქროქსოვილის კაბა ორი. კიდევ ჭორცისფე-რი ოქროქსოვილის კაბა ორი. კიდევ ჩინისფერი ოქროქსოვილის კაბა ორი. კიდევ ლაჟურდისფერი ოქროქსოვილის კაბა ოთხი. კიდევ მწვანის ოქროქსო-ვილის კაბა სამი. კიდევ იეზდური ალისფერი მუყაიშის ზარბაბის კაბა ორი. კიდევ ფისტაი მუთაბალის ოქროქსოვილის კაბა სამი. კიდევ ჭორცისფერის ქამ-ხა ოქროქსოვილის კაბა ორი. კიდევ ფირუზისფერი ქამხა ოქროქსოვილის კა-ბა ორი. კიდევ ყირმიზის მუთაბალის ოქროქსოვილის კაბა ერთი. კიდევ ალისფერი ინდური ოქროქსოვილის კაბა ორი. კიდევ ინდური გუჯრათის ბრო-წეულყუყუაილისფერი ოქროსოვილი კაბა ორი. კიდევ ინდური გუჯრათის ყირმი-ზი ოქროქსოვილის კაბა ორი. კიდევ ისფერი ოქროქსოვილის კაბა ორი. კი-დევ ყუთილის ოქროქსოვილის კაბა ერთი. უდილოსა, დიბისა, ხარისა და ზარბაბის კაბის ჯუმალი ექუსი ცხრა⁶⁸.

კიდევ ფრანგულის ოქროქსოვილის ხარის კაბა ორი. კიდევ გურგაზი

⁶⁶ მურასას ღილიანის კაბის ჯუმალი ერთი ცხრა—სინგურით წერია.

⁶⁷ დელანში: კაბაა.

⁶⁸ უდილოსა დიბისა ხარისა და ზარბაბის ჯუმალი ექუსთ ცხრა—სინგურით წერია.

ხარის კაბა ორი. კიდევე ფირუზისფერის ფრანგულის ხარის კაბა ერთი. კიდევე ყუითლის ფრანგულის ხარის კაბა ორი. კიდევე ჭორცისფერი ფრანგულის ხარის კაბა ერთი. კიდევე ალისფერის ფრანგულის ხარის კაბა ერთი. ხარის კაბის ჯუმალი ერთი ცხრა⁶⁹.

კიდევე თეთრმწვანიათი მუთაბალის კაბა ერთი. კიდევე თეთრის მუთაბალის კაბა ერთი. ალისფერი მუთაბალის კაბა ერთი. ლაჟურდისფერი მუთაბალის კაბა ერთი. კიდევე ფისტაი მუთაბალის კაბა ერთი. კიდევე ნარინჯისფერი მუთაბალის კაბა ერთი. ყირმიზის მუთაბალის კაბა ერთი ხელი. ერთად კაბების ჯუმალი ცხრაჯერ ცხრა⁷⁰.

ხალასად ნაკერი ოქრომკედითა საგულე ერთი. კიდევე ალისფერი მუყაიშით ჩარყაფად ნაკერი საგულე ერთი. კიდევე მწვანე მუყაიშით ნაკერი საგულე ერთი. კიდევე ნარინჯისფერი მუყაიშით ნაკერი საგულე ერთი. კიდევე ალისფერი მუყაიშით ნაკერი საგულე ერთი. კიდევე ბროწეულყუავილისფერი მუყაიშით ნაკერი საგულე ერთი. კიდევე მუყაიშით ზარქაში ინდაური საგულე სამი. კიდევე ისპანური ხასას თეთრის დიბის საგულე ორი. ქაშანური ყუითლიანი ზარქაშის საგულე ორი. კიდევე იეზდური ყირმიზი ზარქაშის საგულე—სამი. კიდევე ისპანური ზარქაშის საგულე ორი. კიდევე ისპანური აშიადარი თეთრის ზარქაშის საგულე ერთი. კიდევე გილანურის ყირმიზის ზარქაშის საგულე ორი. კიდევე გილანური ჭორცისფერი ზარქაშის საგულე ორი. კიდევე სოსნისფერი გილანური ზარქაშის საგულე ერთი. კიდევე გილანური სანდლისფერი ზარქაშის საგულე ერთი. კიდევე ყუითელი ზარქაშის საგულე ერთი. კიდევე ატმის ყუავილისფერი ზარქაშის საგულე ერთი. კიდევე გილანური მწვანე მუყაიშის საგულე ერთი. კიდევე ისპანის ზარქაში ისფერი საგულე ერთი. კიდევე სოსნისფერი ზარქაში საგულე ერთი. კიდევე ნარინჯისფერი ზარქაშის საგულე ერთი. გულიხარი ზარქაშის საგულე ერთი. ხალასად ნაკერისა და ოქროქსოვილის საგულის ჯუმალი ოცდათორმეტი⁷¹. ინდაური ოქროს მეღნით დაბასმული მწვანე საგულე ორი. კიდევე ინდაური მუყაიშის საგულე ორი. კიდევე ყალამქარი საგულე ხუთი. ხასას დარაის საგულე ოთხი. ერთპირად საგულის ჯუმალი ხუთი ცხრა⁷².

მურასა ისპანური ხასა დურუზი ყირმიზი სარტყელი ერთი. კიდევე მურასა დურუზი ლაჟურდისფერი ხასა სარტყელი ერთი. კიდევე მურასა სარასარი ხასა სარტყელი ერთი. კიდევე გურგაზი მურასა დურაზი სარტყელი ერთი. კიდევე მურასა ალისფერი სარტყელი ერთი. კიდევე მურასა ქამხაბაზი სარტყელი ერთი. კიდევე ისფერი მურასა აშიაყულფი ხასა სარტყელი ერთი. კიდევე ყირმიზი მურასა სარტყელი ერთი. კიდევე სოსანისფერი აშიაყულფი მურასა ხასა სარტყელი ერთი. იქნა სარტყელის ჯუმალი ერთი ცხრა⁷³.

ხალასად ოქრომკედით ნაკერი ჭორაბი ერთი ცხრა ჯუფთი. კიდევე დიბისა, ზარბაზისა და ხარისა ჭორაბი ცამეტი ჯუფთი.

მაშაია ოქროს სირმით ნაკერი თეთრს ფრანგულს ატლასზედ ჯუფთი ერთი. კიდევე სარასრად ხალსად ნაკერი მაშაია ჯუფთი ერთი. კიდევე სხვა ფე-

⁶⁹ ხარის კაბის ჯუმალი ერთი ცხრა—სინგურით წერია.

⁷⁰ ხელი. ერთად კაბების ჯუმალი ცხრაჯერ ცხრა—სინგურით წერია.

⁷¹ ხალასად ნაკერისა და ოქროქსოვილის საგულის ჯუმალი ოცდათორმეტი სინგურით წერია.

⁷² ერთპირად საგულის ჯუმალი ხუთი ცხრა—სინგურით წერია.

⁷³ იქნა სარტყელის ჯუმალი ერთი ცხრა—სინგურით წერია.

რადი კემუხტის მაშაია ჯუფთი ერთი. კიდევ სხვა ფერადი კემუხტის მაშაია ჯუფთი ორი ცხრა. კემუხტის ჩექმა ჯუფთი სამი.

ამას გარეთად აზნაურის ასული პატიოსანი გამდელი ერთი თავისის თავის თვალისა და მარგალიტის სამკაულითა: ორის⁷⁴ ოქროს ჯაჭვითა, სამის მწვანის ფრანგულის ხარა ზარბაზის და ღიბების⁷⁵ ხასას სიასამურის ტყავებითა, კიდევ სამის იეზდურის ღიბის კუერნის და კურდღლის⁷⁶ ტყავითა, ოქროქსოვილის კურდღელზედ გარდაკრულის ტყავებითა და თავალითა და მისის ორის ცხრის წელის ოქროქსოვილის კაბა-საგულითა, სარტყლითა და ყოვლისფერის ტანისამოსითა.

კიდევ პირისფარეში მუახლე ერთი თავისის თავის თვალისა და მარგალიტის სამკაულითა: ოქროს ჯაჭვითა, ერთის ხასას ყუთილის ღიბის კურდღლის ტყავითა, მეორეს მწვანეს ოქროქსოვილის კურდღლის ტყავითა, ერთის ღიბის კურდღლის ტყავებითა და თავალითა და ცხრის წელის ოქროქსოვილის კაბა-საგულითა, სარტყლითა და მისის ყოვლისფერის ტანისამოსითა.

კიდევ მედომაქე მოახლე ერთი თავისის თავის სამკაულითა: ერთის ოქროქსოვილის კუერნის ტყავითა და ერთის ოქროქსოვილის კურდღლის ტყავებითა და თავალითა და ცხრის წელის ოქროქსოვილის კაბა-საგულითა, სარტყლითა და მისი ყოვლისფერის ტანისამოსითა.

კიდევ მოლარე მოახლე ერთი თავისის თავის სამკაულითა: ერთის ხასას ღიბის კურნის ტყავითა, ერთის ოქროქსოვილის კურდღლის ტყავებითა და თავალითა, ხუთის ხელის ოქროქსოვილის⁷⁷ ყოვლისფერის ტანისამოსითა.

კიდევ მოახლე სარადუჯოსანი სამი, მათის თითოს ოქროქსოვილის კუერნისა და კურდღლის ტყავებით, ტყავაკაბებითა და ხუთის წელის ოქროქსოვილის ყოვლის ფერის ტანისამოსითა.

კიდევ ხუთი სხვა მსლებელი ოქროქსოვილის კურდღლის ბეწუზედ გარდაკრულის ტყავაკაბებითა და სამ-სამის წელის ყოვლისფერის ტანისამოსითა.

გამდლის მუახლე ორი მათის ოროლის წელის ტანისამოსითა.

ამას გარეთად⁷⁸ საჭამაოს იარადი: დიდი თაქნაბადი ჯუფთი ორი. ჩარყაფად ხალასად შეკერილი ზედ საჯდომი დოშაქი ერთი. ხალასად შეკერილი დორი ერთი. ოქროქსოვილი ყაფილული ხუთი. ბუზრის ხაქანდაზი მუშაბახად მოჭრილი ჯავარდარი ორი. მაყაში ორი. დიდი ვერცხლის ტაშტ-წუმწუშა ერთი. ხალასად ოქრომკედით ნაკერი მისი ზირანდაზი ერთი. ღიბა ზარბაზის სუფრა ორი. ყალამქრის სუფრა ორი. ისპანის ჩითის საჯელგო სუფრა ხუთი. ვერცხლის სამარილე ერთი, ვერცხლის კოვზი ერთი, ვერცხლის დიდროანი ლანგარი თავისის ვერცხლის დიდის ზარფუშებითა ორი, ვერცხლის ბოშყაბი ცხრა, ვერცხლის სუფრა ყაშული ერთი, დიდი ვერცხლის აშის ბადია ერთი. მისი შედეგი ვერცხლის ბადია ცხრა, აშის დიდი ვერცხლის კოვზი ერთი, კიდევ სპილენძის ლანგარი მისის ზარფუშითა ხუთი, სპილენძის აშის დიდი ბადია ერთი, თავისის სინითა და ზარფუშითა. მისი შედეგი ბადია ცხრა. სპილენძის ბოშყაბი სამი ცხრა.

⁷⁴ ორის ჩამატებულია.

⁷⁵ ღიბების—ჩამატებულია.

⁷⁶ და კურდღლის—ჩამატებულია.

⁷⁷ ოქროქსოვილის—ჩამატებულია.

⁷⁸ ამას გარეთად—სინგურით წერია.

საძროხე დიდი ქუაბი⁷⁹ ორი. ჩარხის ქვაბი სამი. თავა ერთი. ტაფა ერთი. ზესადგარი ხუთი. თუშფალანგი ერთი. ავგარდანი ერთი. ჩამჩა ერთი. ქაფქირი ერთი.

სალენის იარაღისაგან⁷⁹: ოქროს სურა ერთი. ვერცხლის სურა ერთი. კიდევე ვერცხლის ორყური თუნგი ერთი. ვერცხლის საყინულე მისის სინითა ერთი. მინაქარი ოქროს თასი ერთი. კიდევე საია ხიარადარი ოქროს თასი ერთი. საჯელგო ვერცხლის თასი შვიდი. სუფრის დანა მურასა ოქროთ მოჭედილი ერთი, მაშვიან ზის ფრანგ ფასანდი იაგუნდი ოცდაექუსმეტი, ფირუზი ნიშაბური ოცდათორმეტი, მისი შედეგი თაჰნიშანად ფირუზი ორას ოცდაშვიდი თავისის ოქროს დაწულის ჯაჭვითა.

საშარბათოს იარაღისაგან⁸⁰: დახატული ხონჩა ხუთი. ვერცხლის ფიალა ცხრა. ვერცხლის ნალბაქი ცხრა. სპილენძის ფიალა ცხრა. სპილენძის ნალბაქი ცხრა. ხონჩაფუში ხუთი.

საფარეშოს იარაღისაგან⁸¹: ქირმანული ბამბის ორხოა ჯუფთი სამი. გაბა ერთი. ხალასად ნაკერი სუზანი ერთი. ვერცხლის თულბთანი ა⁸². კიდევე ორხოა და ხალიჩა ცხრა. ვერცხლის სასანთლე ერთი. ვერცხლის ფისოზი ერთი. ვერცხლის ფიდონი ერთი, მისის ვერცხლის კოვზითა. სპილენძის ფისოსი სამი. სპილენძის ფიდონი ერთი. სპილენძის ტაშტ-წუმწუმა ერთი. მუდახილად მოჭრილი რკინის ფანარი ერთი. მუშამბის ფარანი (sic) ერთი. კიდევე ბურსეულის პერანგიანი ფანარი ორი. სასანთლე და ფისოვები თავისის ზირანდაზებითა. მაშხალა ერთი. დიდი სპილენძის საბანოე ტაშტი ერთი. დიდი სპილენძის სათბობი თუნგი ერთი.

ამას გარეთად აზნაურის შვილებისაგან⁸³ ზედგენიძე მერიქიფეთ-უხუცესი იესე, მერიქიფე რჩეულაშვილი პაპუნა, მერიქიფე აზნაურშვილი ზალ, მერიქიფე აზნაურშვილი ბექან, მოლარეთ შიგამდეგი აზნაურშვილი გიორგი; ამას გარდა მოლარე ერთი, მკერვალი ერთი, მემარბათე ერთი, ფარეში ორი, ხაბაზი ერთი, მზარეული ერთი.

ამას გარეთად დომაქის იარაღისაგან: სარანდაზი ხავედისა ერთი, საგებელი ბუმბული ფრანგულის ხარა ზარბაბისა ერთი. კიდევე ბამბის საგებელი ისფერის ოქროქსოვილისა ერთი. სასთაული მახმურ მუყაიშისა ორი. ზეწარი ყალამქარისა ორი. ხალასად შეკერილი ყუითუქის ბალიში ორი. ოქროქსოვილი აშიადარი ყუითუქის ბალიში ორი. წურული ყუის ბალიში ორი. ისპანური ხასას ყუითლის დიბის საბანი ერთი. თეთრის დიბის საბანი ერთი. ფრანგული დიბა ხარა ზარბაბების დიდი ფარდა ერთი, თავისის თორმეტის ვერცხლის დიდროანის ჯაჭვითა და აბრეშუმის თოკითა. ჩარსავი ხასას ყანავათისა ორი, სხვა ჩარსავი ორი, მაფრაში ჯუფთი ხუთი. ზანდუკი ექუსი. ხალასად შეკერილი დიდი ბოხჩა შვიდი. ყანავათის ბოხჩა შვიდი.

ამას გარეთად: სარიქიფოს ცხენი ერთი, მისის უნაგირითა და იარაღითა და თალათინის იახტნითა. კიდევე ვერცხლის ტაშტ-წუმწუმა ერთი, მისი ვერცხლის თასი ერთი. ოქროს წყლის სასმელი იათული მისის ოქროს თავსაბურა-

⁷⁹ სალენის იარაღისაგან—სინგურით წერია.

⁸⁰ საშარბათოს იარაღისაგან—სინგურით წერია.

⁸¹ საფარეშოს იარაღისაგან—სინგურით წერია.

⁸² ვერცხლის თულბთანი ა—ჩამატებულია.

⁸³ ოთხი უკანასკნელი სიტყვა—სინგურით წერია.

ვითა⁸⁴ ერთი. ვერცხლის წყლის სასმელი იათული ერთი. გულაბდანი ოქროთ დაფერილი ერთი. ხასას საიის ქაფანავი ერთი, მისის ექუსის ოქროს მუშაბახად მოჭრილის მურასას ამბრით გატენილის ღილითა. არის მაზედან ფრანგ ფასანდი იაგუნდი ექუსი და ნიშაბური ფირუზი ასოცდაათი. ხალი ჩაფუჩი ერთი. ნარდი ხადაბანდისა ერთი. ხასა განჯაფა ერთი. ჭადრაკი ერთი. ოქროთ მოჭედული საწერელი ერთი. იალფუქი ერთი.

ამას გარეთად: მეჯინიბე ერთი. შათირი ერთი. ხალასად ნაკერი სამხეუ-რი ერთი, ას ოცის ოქროს სინსილითა.

ამას გარეთად: ბედაური ცხენი გოგდურნა მისის შაბაქად მოჭრილის ოქროს უნაგრითა, მძიმისა და პატიოსნის ოქროს რახტითა, ხალასად მძიმედ შეკერილის თაქალთოთა და ასალითა და ოქროქსოვილის ზინფუჩიითა მოჭრი-ლი სკამი ერთი.

ამას გარეთად: სამოახლოს ცხენებისაგან გამდლის საჯდომი თოხარიკი ცხენი, მისის დახატულის ოზბეგურის უნაგრითა, ვერცხლის რახტითა, და ხა-ლასად შეკერილის ასლითა. კიდევ პირისფარეშის თოხარიკი ცხენი, მისის დახატულის ოზბეგურის უნაგრითა, ვერცხლის რახტითა და ხალასად შეკერი-ლის ასლითა. კიდევ მედოშაქის ცხენი, მისის დახატულის ოზბეგურის უნაგ-რითა, ვერცხლის რახტითა და ხალასად შეკერილის ასალითა.

ამას გარეთად: სამოახლო ცხენი თავეთის იარაღით დაკაზმული თერ-თმეტი. ამას გარეთად: მერიქიფე ხუცესი იესე, თავისის საყმოთა და მამული-თა. ამას გარეთად⁸⁵ გორს ვაჭარი ორი: ამირბაბაშვილი ელიზბარა, მუნდაშა-შვილი დავითა⁸⁶ და სათავნო თეთრი მარჩილი ათასი.

აგრევე ჯოგისაგან⁸⁵: ჯოგის ცხენი⁸⁵ ორმოცი.

აგრევე⁸⁵ ცხურისაგან: ცხვარი⁸⁵ ხუთასი.⁸⁵

აგრევე სადიასახლისოსაგან: სადიასახლისო⁸⁵ ძროხა სამოცი.

დაიწერა ზითვის წიგნი ესე დასაბამითგან წელთა შვიდი ათას სამოცდა ოთხმეტსა, ქ[ორონი]კ[ონ]ს ტ ნ ე, ინდიკტიონსა თ, თქვესა ივლისსა კზ, სათ-ვალავსა მთვარისასა იზ. წელითა კარისა ჩუენისა მდივან მწიგნობარის მარ-ტიროზიშვილის ბეგთაბეგისათა. ხელის მოწერა: შაჰნავაზ.

5. 1688—1703 წწ. ქართლის სამეფო კარის მსახურთა სია. დედანი, 19×12 სმ. რესტავ-რირებული. მოყვითალო ქაღალდი. მხედრული. განკვეთის ნიშნად ნახმარია ორ-ორი წერ-ტილი. თავში უნდა აკლდეს. უთარილო. თარიღდება ერეკლე მეფის ზეობით. აქ მოხსენე-ბულ მეფეთაგან შაჰნავაზი მეფობდა 1658—76 წწ; გიორგი 1676—1688 წწ. ერეკლე კი 1688—1703 წწ. ამდენად ეს საბუთიც ერეკლეს მეფობაზე აღრე ან გვიან ვერ დაიწერებო-ლა. Ad 763.

(ქ.) მარიამ დედოფლის მეშკამბრისა.

(ქ. მარიამ) დედოფლის ქალ-გოგია.

ქ. მარიამ დედოფლის სარრა.

ქ. მარიამ დედოფლის გულტკბილისახარ.

ქ. მარიამ დედოფლის ცხოვნებისახარ.

ქ. მარიამ დედოფლის სანდომიხარ.

ქ. მარიამ დედოფლის მონაზონი ფერინოზ.

⁸⁴ სამი უკანასკნელი სიტყვა ჩამატებულია.

⁸⁵ ჩასმულია რკალეშში.

⁸⁶ ჩამატებულია.

- ქ. მარიამ დედოფლის მონაზონი გულტკბილისა.
- ქ. გმირ (sic) ფალავანდისახარ.
- ქ. გიორგი მეფის ხასა გულიზარ.
- ქ. გიორგი მეფის ხასა თვალსამოთხისა.
- ქ. მარიამ დედოფლის მახია დიდი.
- ქ. მარიამ დედოფლის მეჩანგე ზილიხან.
- ქ. მარიამ დედოფლის მონაზონი გურგენას დაგდებული.

მეორე ჯგერზე:

- ქ. ხორაშან დედოფლის მხლებელი თითთია.
 - ქ. ხორაშან დედოფლის ბოქაული მამუკა.
 - ქ. შახნავაზ მეფის ხოჯა ბაინდურა და მისი ბედმამაცი.
 - ქ. ერეკლე მეფის დედის დიდი გამღელი მარიამ.
 - ქ. ერეკლე მეფის ყმაწვილები.
 - ქ. გიორგი მეფის ხოჯა პაპია.
 - ქ. ერეკლე მეფის დედის ხოჯა მამუკა.
 - ქ. ერეკლე მეფის დედის მსახური ნადირა.
 - ქ. გიორგი მეფის მეჩანგე ჩეშმისა.
 - ქ. გიორგი მეფის ღონემამაცი.
 - ქ. რუსუდან დედოფლის გამდელი იასაგ⁸⁷.
- არშიაზე: ქარ ქ...ქუ იახის სახლთუხუცესის (sic) ჯასა არი (?)

6. 1669 წ. წილენელის სამწყსოს დრამისა და საწირავის გარიგების სიგელი⁸⁸. 1669 წ. აღდგენილი პირი. საბუთი ორ ნაწილადაა გაწყვიტული და ეს ნაწილები ცალცალკეა დაცული საქართველოს სხვადასხვა საცავებში. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია 73×30 სმ. ნაწილი Ad 526; საქ. ცენტრ. არქივში კი 178×30 სმ. ნაწილი. ფ. 1448 № 5013. მოყავისფრო ქაღალდი. მხედრული. განკვეთის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. Ad 526 დოკუმენტზე დაწებულ ქაღალდზე გაკეთებულია მინაწერი: „გადავწერე მღ. პ. კარბელაშვილმა“.

ქ. წილენის დ[ვ]თისმშობლის სამწყსოს სიგელი.

რაჟამს წილენელი მუხრანის ბატონის სახლში მობრძანდეს, მუხრანის ბატონი და მეუღლე მათი წინ წამოეგ<ე>ბნენ და სუზანსა და დორზედ ცოლ-ქმართ შუაზედ დაიწვიონ და დიდის პატივით დახვდნენ. მუხრანის ბატონის კარის <ს>აყდარში წილენელს არ მოიხსენებენ, ბატონი კ[ათალი]კოზი უნდა მოიხსენონ. თუ წილენელი იქ იყოს, ჯერ ბატონი კ[ათალიკ]ოზი მოიხსენონ, მასუკან მათთანავეობით წილენელიც მოიხსენონ. ვინ იცის ბატონი კ[ათალიკ]ოზი მუხრანის ბატონის სახლში ბრძანდებოდეს, წილენელის მოხსენება არარა იქნება. მუხრანის ბატონი რომ მი<ი>ცვალოს, საწირავსა და ნიშანს უერთსა გარდასახურავს წილენელს მისცემენ. სხვას მთელ ნიშანს როგორც⁸⁹ მართებულია ბატონი კ[ათალიკ]ოზი წაიღებს. აგრევე თუ მუხრანის ბატონი-შვილებს ქართველის ბატონის სახელო ქონდეთ და ის<ი>ნი მიცვალნენ, იმათი ნიშანიც ბატონის კ[ათალიკ]ოზისა. აგრევე, წილენელს საწირავსა და ნიშ<ა>ნს და⁹⁰ გარდასახურავს მისცემენ. თუ მუხრანის ბატონი ან მეუღლენი

⁸⁷ დანარჩენი არ გაირჩევა, ივ. ჯ.

⁸⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ., I, გვ. 65—71.

⁸⁹ დედანში: დ როგორც.

⁹⁰ „ნიშანს და“ შიმდეგ უნდა იყოს ჩაწერილი.

მათი წილკანს დაემარხნენ, მთელს ნიშანს ისევ კ[ათალიკ]ოზი წაიღებს. წილკანს თავისი საკადრის<ი> პატივი არ დაკლდება. თუ უფლისწული, ან უცხო-ლო ყმაწვილი მოკვდეს ვინმე, თუ შეძლოს ბატონს კ(ათალიკ)ოზს ჟამი აწირო-ვინონ. ნიშანი მთელს და გარდას<ა>ხურ<ა>ვს ერთს წილკნელს მიაართმე-ვენ⁹¹.

ქ. წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის სიგელი.

ქ. წილკნელს სახუცო და დრამა არ აძევს.

ქ. მსახურზედ საწირავი, ცხენი და იარაღი. აგრევე მსახურის ცოლის საწი-რავი.

ქ. თუ უზიარები მოკვდეს ვინმე საკანონო ხარი ერთი.

ქ. თუ უნათლავი მოკვდეს ვინმე საკანონო ხარი.

ქ. ჯვარდაუწერელი ცოლთან დაწვეს საკანონო ცხვარი ორი და ხარი ორი ატეს⁹².

ქ. თუ ვინმე კაცი მოკლას, იმის საკანონო ხარი ხუთი. თუ მოიქცეს, დაუტე-ოს ცოდვა იგი შეიწყალეთ აღსარებითა, ეკლესიას ლოცვასა და წირვას ნუ დააკლდება.

ქ. ა ხ ა ლ და ბ ა ს: ღვდელს — ხარი და მარჩილი, დრამა კომლზე კოდი ერ-თი. მსახურზედ—თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი და იარაღი. საკანონო რაც იყოს, რაც ზევით დაგვეწეროს ის გამოართონ მუხრანის მღვდლებს და სხვათა სოფლებისასა⁹³.

ქ. ც ი ხ ე ვ და ვ ს (sic): ღვდელს—სახუცო ხარი, მარჩილი, დრამა კომლ-ზე კოდი ერთი. თუ მსახური მოკვდეს ვინმე საწირავი, ცხენი, თავი-სის იარაღით. საკანონო თუ რ(ა)მ იყოს, ზევით დაგვიწერია ის გამოარ-თვით.

ქ. წ ყ ა ი ლ ა უ რ თ კ ა რ ე ლ თ (sic): ღვდელს — სახუცო ნახევარი ხარი და მარჩილი, დრამა კომლზედ კოდი ერთი. მსახური თუ მოკვდეს, საწირა-ვი, ცხენი და იარაღი. მსახურის ცოლს ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით სწერია ისე გამოართვით.

ქ. ძ ა ლ ი ს(ს): ზედგინიძების სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს, ან უფ-როსის კაცის ცოლი, კაცზედ მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხენი, გარ-დასახურავი ერთი თავისი, ერთი წილკნელისა. სუფრის იარაღი თავისის თასით წილკნელს მიაართონ. აგრევე იმათი მეუღლენი რომ მოკვდნენ კაბა, ტყავი ან ტოლომა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ერ-თი გარდასახურავი წილკნელს მიაართონ. თუ ცოლი ზედგენიძის შვილი მოკვდეს — წილკნელს ერთი საწირავი და ურთი გარდასახურავი მიარ-თონ. ღვდელს სახუცო ხარი და მარჩილი. მსახური თუ მოკვდეს, საწი-რავი, ცხენი და იარაღი. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს, საწირა-ვი მიაართონ წილკნელს. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგ-ვეწეროს ის გამოართვით: თუ სტავრის და დიბის არ იყოს ნუ დასჯერ-დებით⁹⁴.

⁹¹ უკანასკნელი 7 სიტყვა შემდეგ ჩაწერილი ჩანს.

⁹² ეს 4 სიტყვა სხვა მელნით და ხელით არის ჩამატებული, ივ. ჯ.

⁹³ უკანასკნელი 5 სიტყვა იმავე მელნითა და ხელით, როგორც ზემოთი დამატება, ივ. ჯ.

⁹⁴ უკანასკნელი 8 სიტყვა სხვა მელნით და მერმინდელი ხელით არის ნაწერი, ივ. ჯ.

- *ქ.⁹⁵ ი ტ ყ ვ ლ ი ა ნ ს: ხუცესსა: სახ<უცო ჭარ<ი> და მარჩილი. მსახური
თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი<და> იარაღი. მსახურის ცოლს ერთი
საწირავი. დრამა კოდი ერთი კომლზედ. თუ საკანონო იყოს რამე, რო-
გორც ზემოდ დაგვიწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. მჭადიჯვარს: წინამძღვართან⁹⁶ წილკნელი თუ სარჯულავზედ დავი-
დოდეს, თავის მონასტრიდან მკადისჯვრის წინამძღვარი კრებულით შე-
მოსილი მოგებოს. ერთი დღე მასპინძლობა. სახუცო ხარი და მარჩილი.
თუ წინამძღვარი მოკვდეს, საწირავი, ნიშანი, გარდასახურავი, ცხენი და
იარაღი, თასი — ესეები წილკნელს მიართონ.
- ქ. ბურდიაშვილები: სახლის უფროსნი კაცნი ან მოხელენი მოკვდეს
ვინმე, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული,
გარდასახურავი ორი, ერთი თავისი, ერთი წილკნელისა. სუფრის იარაღი,
თასი — ესენი წილკნელს მიართონ. აგრევე ქალი თუ მოკვდეს, საწირა-
ვი, ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსა-
ხურავი, ორი გარდასახურავი, ერთი თავისი, ერთი წილკნელისა. თუ
სხვაირი უმცროსი მოკვდეს, ან უცოლშვილო, იმის ერთი საწირავი მი-
ართონ.
- ქ. სოფლის კაცმა ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი დ(ა) მ(ა)რჩილი,
კომლზედ დრამა კოდი ერთი, ერთს დღეს ჩაყენება. მსახური თუ მოკვ-
დეს, საწირავი, ცხენი დ(ა) იარაღი. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვ-
დეს, საწირავი მიართონ. საკანონო თუ იყოს რამე, როგორც ზევით და-
გვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. მუმლურთკარელთ: ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარ-
ჩილი. სოფლის* კაცს ერთს დღეს მასპინძლობა. დრამა კოდი ერთი
კომლზედ. მსახური თუ ვინმე მოკვდეს, საწირავი, ცხენი, იარაღი. ა-
გრევე მსახურის ცოლს ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, რაც ზე-
ვით დაგვეწეროს, ის გამოართვით.
- ქ. გენეფერის: არათანაშვილებს დრამა არ აძევთ. არათანაშვილები(ს)
სახლში უფროსი კაცი მოკვდეს, თუ დედაკაცი, კაცზედ საწირავი მთე-
ლი, ცხენი და იარაღი. დედაკაცზედ ერთი საწირავი და ერთი ნიშანი.
ერთ დღეს მასპინძლობა. ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარ-
ჩილი. საკანონო თუ რამ იყოს, ზევით დაგვიწერია, ისე გამოართვით.
- ქ. კოდისწყაროს: ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი,
სოფელს ერთ დღეს ჩაყენება. დრამა კომლზედ კოდი ერთი. მსახური
თუ ვინმე მოკვდეს, საწირავი, ცხენი დ(ა) იარაღი. აგრევე მსახურის
ცოლს ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, ზევით დაგვიწერია, ისე
გამოართვით.
- ქ. გოგილარს: წიწინაშვილებს მთელი ნიშანი, ცხენი დ(ა) იარაღი,
ორი გარდასახურავი: ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე იმათი
მეუღლენი რომ მოკვდენ, საწირავი, ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა,
სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი გარსახურავი (sic).

⁹⁵ აქედან იწყება საქართველოს ცენტრ. არქივის 1448 კოლექციის № 5013. სამწუხაროდ, უკა-
ნასკნელი რესტავრაციის დროს ერთი კეფის (18,5×29 სმ.) recto და verso არევიან. ** ნიშნებით
გამოყოფილი ტექსტი დღეისათვის საბუთის verso-ს ბოლოშია მოქცეული. ჩვენ ეს ფრაგმენტი თა-
ვის ადგილას ჩავსვით, რედ.

⁹⁶ თანდებული თან შემდეგ მიუწერიათ.

ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფლის კაცს ერთს ღღეს ჩაყენება. დრამა კომლზედ კოდი ერთი. მსახური თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. თუ მსახურის ცოლი მოკვდეს, ერთი საწირავი მიართონ. საკანონო თუ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, იმ რიგად გამოართვი.

- ქ. ცუ რ ი ს უ ბ ა ნ ს: ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი დ(ა) მარჩილი. სოფლის კაცს ერთს ღღეს მასპინძლობა. დრამა კომლზედ კოდი ერთი. მსახური თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლს საწირავი ერთი. საკანონო თუ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვი.
- ქ. ჯ ი გ რ ა შ ე ნ ს: ქავთარაძეები (sic) სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული. ორი გარდასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. სუფრის იარაღი და თასი წილკნელს მიართონ. ქალის საწირავი, ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი წასახურავი. სახლის უფროსი რომ არ იყოს, ან უცოლშვილო ის რომ მოკვდეს, იმის ერთი საწირავი მიართონ წილკნელსა. სოფლის კაცს, ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფლის კაცს, კომლზედ დრამა კოდი ერთი. მსახური თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს, ერთი საწირავი. სოფელს ერთს ღღეს ჩაყენება. საკანონო თუ იყოს, როგორც ზემოთ დაგვეწეროს, ისე გამოართვი.
- ქ. ს უ ნ ბ ი ა ნ შ ი: ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება. ხარი და მარჩილი, ქართველი ვინც ესახლოს, დრამა კოდი ერთი. სომეხს კომლზედ თითო ძღვენი.
- ქ. დ ა მ პ ა ლ ა ს: ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ნახევარი ხარი და მარჩილი. სოფელს ერთს ღღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა კოდი ერთი, მსახურს საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს, ერთი საწირავი. საკანონო, როგორც ზევით დ(ა)გვეწეროს, ისე გამოართვან.
- ქ. თ ე ლ ო ვ ა ნ ს: ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფლის კაცს ერთს ღღეს ჩაყენება. კომლზედ დრამა კოდი ერთი. მსახურზედ საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს, ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვი.
- ქ. ქ ს ო ვ რ ი ს: რატიშვილი თუ მოკვდეს ან მეუღლენი მათნი, თუ კაბენს⁹⁷ დაემარხნენ, მთელს ნიშანს სამთავნელი გამო(ა)რთმევს. ერთს გარდასახურავს და საწირავს წილკნელს მიართმევენ. თუ თელოვანს დაემარხა, მთელს ნიშანს წილკნელი წაიღებს. სამთ(ა)ვნელს ერთს საწირავს დ(ა) ერთს გარდასახურავს მიართმევენ. ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი, მარჩილი. სოფლის კაცს: — აზნ < ა > უ < რ > შვილებს ერთს ღღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა კოდი ერთი. მსახურზედ საწირავი,

⁹⁷ ეს სიტყვა შემდეგ გაუცხოველებათ.

- ცხენი შეკაზმული. თუ მსახურის ცოლი მოკვდეს, საწირავი რაც შეძლოს. საკანონო, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. რა ჟამს არ(ა)გვის ერისთვის მამულში სარჯულაზედ წილკნელი⁹⁸ შებრძანდეს, იხმოს მამამთავარი მირზაშვილი, ჯვარის მტვირთველ(ი) და საყდრის კრებულნი, ორმოცი ცხენოსანი⁹⁹ მსახურნი, მიბძანდეს არაგვის ერისთავთან დუშეთს. არა(ა)გვის ერისთავი და მეუღლე მათი საწოლის კარს მოეგებნენ წილკნელს. ხელი მოკიდონ ცოლ-ქმართა, დორსა და ქეჩაზედ შუა დაიწვიონ. დიდის პატივით დახვდენ. არაგვის ერისთვის კარი(ს) საყდარს წილკნელს არ მოიხსენებენ, ბატონი კ[ათალიკ]-ოზი უნდა მოიხსენონ. თუ წილკნელი იქ ერისთავთან ბძანდება, წილკნელის პატივისათვის მათთანავეობით მოიხსენებენ. ერისთვის სასაფლაოზედ წილკნელი უნდა მოიხსენონ. არ(ა)გვის ერისთავი ან მეუღლენი მათი თუ მოკვდეს, უწილკნელოთ ვერ დამარხვენ. ამათი ნიშანი მთლათ რომ არა აკლდეს რა, ყველას ბატონი კ[ათალიკ]ოზი წაიღებს. წილკნელს საწირავსა დ(ა) ნიშ(ა)ნს წასახურავს მისცემენ. აგრევე თუ არ(ა)გვის ერისთვის შვილები ქართველის ბატონის მოხელენი იყვნენ და მოკვდეს, იმათი ნიშანიც, როგორც მართებულია, ისიც ბატონის კ[ათალიკ]ოზისაა. წილკნელს საწირავსა და ნიშ(ა)ნს წასახურავს მისცემენ. უსახელო არ(ა)გვის ერისთვისშვილი ან უცოლო რომ მოკვდეს, თუ შეუძლია, ბატონს კ[ათალიკ]ოზს საწირავს მიართმევენ, თუ არა დ[ა] ვერას გამოეკიდება: წილკნელისა არის მთელი ნიშანი და ერთი წასახურავი.
- ქ. ახალუბანს: ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, სახუცო ხარი და ცხვარი. სოფლის კაცს ერთს ღღეს ჩაყენება. კომლის თავზე დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახურზედ საწირავი თუ მოკვდეს, ცხენი შეკაზმული, მსახურის ცოლი თუ მოკვდეს, საწირავი მიართონ. საკანონო: უზიარები თუ მოკვდეს, მოკითხული ქენით, თუ ღვდელს დაეშავებინოს და არ ეზიარებინოს, საუზიარებლო ხარი ერთი. თუ პატრონს ქონდეს დანაშ(ა)ული, და იმას გამოართვით საკანონო ხარი ერთი. და თუ ჯვარდაუწერელს დაუწვეს, საკანონო ძროხა ერთი. თუ უნათლ(ა)ვი მოკვდეს ვინმე, საკანონო ხარი ორი. თუ ვისმე კაცი შემოაკვდეს, საკანონო ხარი თორმეტი.
- ქ. მისაქციელს: ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფლის კაცს ერთს ღღეს მასპინძლობა, დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახურზედ საწირავი, შეკაზმული ცხენი. მსახურის¹⁰⁰ საწირავი, რაც შეძლოს. საკანონო თუ იყოს რამე, ზევით დაგვიწერია, ისე გამოართვით.
- ქ. ხშირს: ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფლის კაცს ერთს ღღეს მასპინძლობა. დრამა კომლზედ პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახურსა და მოხელეს საწირავი, ცხენი შეკაზმული. მსახურის ცოლს რაც შეძლოს, ერთი საწირავი. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. ფრეზეთს: მირზაშვილების სახლში თ(უ) უფ(რ)ოსნი კაცნი მოკვდენ ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული,

⁹⁸ ამის შემდეგ დაწერილია—წილკნე—და შემდეგ გადახაზულია.

⁹⁹ ეს სიტყვა შემდეგ გაუცხოველებიათ.

¹⁰⁰ აქ უნდა აკლდეს სიტყვა—ცოლის.

ლი ორი გარდასახურავი, ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. სუფრის იარაღი და თასი — ესენი წილკნელს უნდა მიართონ. აგრეთვე მათის მეუღლის საწირავი, მთელი ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი გარდასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. თუ უმცროსი ან უცოლო კაცი მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, რაც შეძლოს საწირავი მიართონ, ერთი წასახურავი. ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფლის კაცს ერთ დღეს მასპინძლობა, დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური ან მოხელე თუ მოკვდეს, საწირავი და ცხენი შეკაზმული. აგრეთვე მათის მეუღლისა, საწირავი რაც შეძლოს. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვი.

ქ. ნ ა ო ზ ა ს: ოსიტაშვილები თუ მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრეთვე მ(ა)თის ცოლების საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი წილკნელს მიართონ. თ(უ) უმცროსი იყოს ან უცოლო, ერთი წასახურავი და ერთი საწირავი წილკნელსა. ხუცესს ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს — ცხენი შეკაზმული, და ან მოხელ(ე) კაცი — საწირავი და ცხენი შეკაზმული. იმათ მეუღლისა ერთი საწირავი რაც შეძლოს. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვი.

ქ. ს ა შ ა ბ უ რ ო ს: შაბუთიშვილი¹⁰¹ სახლის უფროსნი კაცნი თუ მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. სუფრის იარაღი და თასი. აგრეთვე მათის მეუღლისა საწირავი, ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, მთლად ორი წასახურავი — ესენი წილკნელს უნდა მიართვან. თუ (უ)მცროსი კაცი ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, რაც შეძლოს საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ. ხუცესს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს ჩაყენება. კომლზედ დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ სოფლის მოხელე კაცი თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე მათის მეუღლისა, რაც შეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვი.

ქ. ბ შ ა რ ა ძ ე ს: ღვდელს ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა, საკომლ(ო)ზედ დრამა პინა ერთი, ქერი ერთი ლიტრა. მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე მსახურის ცოლის საწირავი, რაც შეძლოს. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვი. გილდაშვილი თუ სახლის უფროსი კაცნი თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, თავსახურავი¹⁰², ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ.

ქ. ბ ო დ ო რ ნ ი ს დეკანოზს: ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. ამიტომ აძევს სახუცო, საყდარს ბევრი შემოსავალი აქვს, ყმაც ყავს. იმის ყმას

¹⁰¹ დაწერილი კოფილა საშაბუთიშვილი. სა თავში შემდეგ წაუშლიათ.

¹⁰² რავი — შემდეგ გაუცხოველები.

დრამა არ (ა)ძევს, თითო ძღვენი და საკანონო თუ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით. საყდრის დეკანოზი თუ მოკვდეს, ან მეუღლე მისი, ნიშანი და კარგი საწირავი წილკნელს მიართონ. აგრეთვე სხვათა მღვდელთა¹⁰³.

ქ. არ ა გ ვ ი ს პ ი რ 'ს: მღვდელს¹⁰⁴ ერთს დღეს ჩაყენება, სახუცო კარგი ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს ჩაყენება. დრამა კომლზედ პინა¹⁰⁵ ერთი პური, ქერი ლიტრა ერთი. მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს, კარგი საწირავი და ცხენი შეკაზმული. აგრევე მათს მეუღლეთა, რაც შეძლოთ (sic) საწირავი მიართვან. საკანონო, რაც დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. არ ა ნ ი ს ს: ზანდუკელები სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე მათის მეუღლისა ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, თავსახურავი, ორი წასახურავი — უნდა წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცროსი იყოს, ან უცოლო, ერთს საწირავს მიართმევნ, ერთს წასახურავს ბატონს წილკნელს. არანისეღ მღვდელს ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი, სოფლის კაცს ერთ დღეს ჩაყენება. კომლზედ თითო პინა პური, თითო ლიტრა ქერი. მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს, საწირავი და ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათის მეუღლისა, რაც შეძლოს, ერთი საწირავი მიართონ. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ე თ ვ ა ლ ი ს ე ლ ს ღვდელს: ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს ჩაყენება, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ სოფლის მოხელე თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათის მეუღლის, რაც შეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ა ნ ა ნ უ რ ს ჩაბრძანდეს ბატონი წილკნელი კრებულის, უამი სწიროს ერისთავისათვის, სასადილო ერისთავისაგან მიუვიდეს. ანანურის დეკანოზი ჭონჩას მიართმევს. ანანურის დეკანოზი რომ მოკვდეს, რაც შეუძლია, საწირავს მიართმევს. სხვა არა აძევს რა.

ქ. ქ ა ი ს ხ ე ვ ე ლ ე ბ ს არა აძევს რა: არა დრამა, არა სახუცო, არ (ა) ჩაყენება წილკნელისა. თვინიერ ღვდელი თუ მოკვდეს, ან გამოჩენილი მსახური, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ. ქაისხეველებს ამიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ეპისკოპოზის შესვლას¹⁰⁶ წყინობდენ, არც ახსარებისა იცოდნენ. ზაალ ერისთავმა რომანოზი¹⁰⁷ წილკნელი შეგზავნა. წილკნელს ჯანდი უყვებს, არ შეუშვებს. ერისთავმა უწყინათ, იასაულები გამოუსივათ, ავად მოეპყრა. ადგნენ და წილკნელს შე(ე)ხვეწნენ და წიკლნელმა იპატივა და წილკნელისა საწირავი დაიდევს. ამას იქით ვინც გასჯულავთ, იმათვინაც კეთილია და მწყემსისათვინაც ბოროტი არა არის რა. მთაში შესვლა მამამთავრისა და ჯვარის მტირთ(ვ)ლისა არ იქმნების¹⁰⁷.

¹⁰³ უკანასკნელი სამი სიტყვა შემდეგაა მიწერილი.

¹⁰⁴ პირს მღვდელს—შემდეგაა გაცხობელებული.

¹⁰⁵ შემდეგ გაუცხოველებიათ.

¹⁰⁶ ეს სიტყვა შემდეგ გაუცხოველებიათ.

¹⁰⁷ უკანასკნელი წინადადება შემდეგაა მიწერილი.

- ქ. აფხაზს: ღვდელს 'ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახურსა და მოხელეს საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლს, რაც შეძლოს, ერთი საწირავი წილკნელს მიართონ. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით. მამამთავარს აბაზი საყდრის კურთხევაზედა¹⁰⁷.
- ქ. იორს: ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათს მეუღლეს, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით. მამამთავარს აბაზი¹⁰⁷.
- ქ. აშს: ღვდელს ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი მეუღლენი თუ მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. ყვავილს: ღვდელს ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათი მეუღლენი თუ მოკვდეს, რაც შეძლოს, ერთი საწირავი მიართონ. საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართონ.
- ქ. დუშეთს: კობიაშვილები, თუ სახლში უფროსი კაცი ან მოხელე მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, სუფრის თასი¹⁰⁸, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა ერთი თავისი. დედაკაცზედ ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, მთლად ორი წასახურავი — ესეები წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცროსი კაცი, ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი, ერთი წასახურავი მიართონ. დუშეთის ღვდელს ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი და ცხენი შეკაზმული. დედაკაცზედ, რაც შეძლოს, ერთი საწირავი მიართონ. საკანონო, თუ იყოს რამე, როგორც ზევით ეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. ჭილაშვილები ან წითლიშვილები სახლის უფროსნი, ან მოხელენი თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხენი, ორი წასახურავი, ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე იმათის ცოლების, თუ მოკვდეს, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი წასახურავი წილკნელს უნდა მიართონ. თუ სახლის უმცროსი, ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ.
- ქ. კარჭიაშვილები¹⁰⁹.

¹⁰⁷ უკანასკნელი წინადადება შემდეგაა მიწერილი, რედ.

¹⁰⁸ სუფრის თასი — ჩამატებულია, რედ.

¹⁰⁹ ამის შემდეგ დატოვებულია ადგილი რამოდენიმე სტრიქონის ჩასაწერად, რედ.

- ქ. არღუნს: ღვდელს ერთ ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ ღღეს ჩაყენება, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე <საწირავი>, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი ცოლების საწირავი, როგორც შეძლოს. საკანონო, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. ბაზალეთს: ჩდილეღიშვილი სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს, ან მოხელე, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე მათი მეუღლენი რომ მოკვდენ, საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი წასახურავი¹¹⁰ მიართონ. თუ სახლის უმცროსი კაცი მოკვდეს, ან უცოლო, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ. ბაზალეთს ღვდელს ერთ ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ ღღეს ჩაყენება, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან მოხელე სოფლისა საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათის ცოლებისა, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. ჭილურტს: ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ ღღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური მოკვდეს თუ ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი ცოლები რომ მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე აიღევით.
- ქ. ებნისელს ღვდელს: ერთ ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი, სოფელს ერთ ღღეს ჩაყენება, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, შეკაზმული ცხენი. აგრევე თუ მათი ცოლები მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ წილკნელისა. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვან.
- ქ. გრემისხევს: ტერიშვილები მიქელის-შვილები¹¹¹, უფროსი ან მოხელე თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზე მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი, ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე მათის მეუღლისა საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი ორი, წასახურავი წილკნელს უნდა მიართვან. თუ სახლის უმცროსი კაცი, ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ. გრემისხევის ღვდელს ერთ ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ ღღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა პური ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათის მეუღლისა რაც შეძლოს, ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. ტონჩას: ღვდელს ერთ ღღეს მასპინძლობა, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ ღღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა პური პინა ერთი. ქერი

¹¹⁰ ღვდელს: ცასახურავი.

¹¹¹ შემდეგაა ჩაწერილი.

ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი ცოლები რომ მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიაართონ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. გ ე ნ ა ს მ ა ნ ს: ღვდელს ერთ ღდეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფელს ერთ ღდეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათი ცოლებისა, რაც შეძლოს, საწირავი მიაართონ. საკანონო, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ჭ ა შ ა ს: ღვდელს ერთ ღდეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფელს ჩაყენება, დრამა კომლზედ პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან (bis) სოფლის მოხელენი, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათი მეუღლენი თუ მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიაართონ. თუ საკანონო იყოს რამე, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. დ უ დ უ რ ი ს-შ ე ი ლ ე ბ ი სახლის უფროსი, ან მოხელე თუ მოკვდეს, ერთი ნიშანი რაც იყოს, ცხენი შეკაზმული, ერთი გარდასახურავი წილკნელს მიაართონ. აგრევე მათის მეუღლისა საწირავი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი მიაართონ.

ქ. ჟ ი ნ ვ ა ნ ი არაგვს გაღმა ესახლა, რახან არაგვს¹¹² გაღმა ესახლა, ბატონის კ[ათალიკ]ოზის სამწყსო არის, ჟამთა ვითარებისაგან და ავის დროსაგან არაგვს გამოღმა დასახლდა წილკნელის სამწყსოში. ჩვენ და ბატონს კ[ათალიკ]ოზს ცილება და ლაბარაკი შეგვექნა სამართალში, წილკნის ღ[ვ]თისმშობლისა იყო. წილკნელმა რომანოზ ბატონს კ[ათალიკ]ოზს თავი აღარ აწყინა. დავანებით და წილკნელის მამამთავრებს ჟინვანთან ხელი არ აქვთ. ეს გუჯარიც მაშინ დაიწერა¹¹³.

ქ. ა ნ ა ნ უ რ ს ზევითი ხევს გარდა ისე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არის. რახან წმინდის ე(მ)ბაზის შვილნი შექმნილიყვნენ, იმათი ეფისკოპოზი ვინცვინ წილკნელი ყოფილან, იმათ სამწყსო ყოფილა. მცირედ ქრისტიანობა შამოეუგდიათ, ხუცესი და დიაკონი დაუდგინებიათ. წმინდის ნათლობისლების შვილობა გამრავლებულა. არაგვის ერისთავი არავინ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავათ თვინიერ საბუთრისვილის მეტი. იმას ჭერია დაბალი საურისთო. ანანურს ზევით მთიულ(ე)თს წილკნელისა არა ედდა რა: არა დრამა, არა საწირავი, არა სახუცო, არც ძველს გუჯარში ეწერა. ახლა ჩვენ ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კაცთა უნარჩევანსმან, წილკნელ ეფისკოპოზმან რომანოზს გვიბძანა არ(ა)გვის ერისთავმან ზალ, დამწყსა და კეთილად გარჯულვა ჩვენც არა უდებ ვქმენით ბრძანებასა მწყემსმთავრისასა, რომელმან ბრძანა, წარვედით და მოიწაფენით, და შემდგომი ამის, წარვედით და შეუდგეით კვალსა ისე მაშ(ა)დმთავრისასა და მივედით მთიულეთსა. მცირე რამ ქრისტიანობა იყო და ორი ხუცესი. არც ქრისტიანობა დ(ა) არც ნათლ(ი)სლების შვილობა მართ (sic) არ ეწოდებოდა, იესევ (sic) არ ეწოდებოდა, იესევ (sic) კერპის მგზავსი იყვნენ: არც მართლა ნათლისლება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იყო, არც მარხვა იცოდნენ, თვინიერ დიდმარხვის მეტი. ფრიადითა

¹¹² ამის შემდეგ წერია ასო—დ.

¹¹³ უკანასკნელი წინადადება შემდეგაა მიწერილი.

ჭირითა ვიღვაწე. ზოგი ერისთვის ძალი მქონდა შ(ე)მწეთ, ზოგნი თავისი ნებით მოიქცნენ. აღსარება, ემბაზით ნათვლა გავიჩინეთ. წმინდას ზიარებას ერისკაცს მისცემდა საღმე ღვდელი და ერისკაცი საღმე აზიარებდა. ესეც ამოვკვეთეთ. ერისკაცს¹⁴ ღვდელი საიდუმლოს არ მისცემს — თითონ ღვდელმა უნდა აზიაროს ერისკაცი. ჩვენ, რომანოზ წილკნელი ზა(ა)ლ ერისთვის დროს მთიულეთში სამჯერ ცყოფილვარ(თ), საყდრები ვაჟურთხეთ, იქაურს ღვდელს სახუცო თითო ფური დავადევით ერისთავმა და ჩვენ. სახუცო დაყოფილი არ(ა) აქვთ იქაურს ღვდელს. ორი ღვდელია: ორს ფურს მოგვცემენ, ერთია — ერთსა, ათი ღვდელი რომ გაჩნდეს მთიულეთში, სახუცო ათი ფური გამოართვით. ჩემობას ორი ზუცესი იყო. იქაურს ზუცესს მამათავრისა არა ედვათ რა. არც ერისკაცზედ დრამა ედვათ, არც ეფისკოპოზის წირვა, თუ თავისი ნებით არ უნდოდათ. ახალი მოქცეული იყვნენ, იმიტომ ვერა საეფისკოპოზო გამოსაღები ვერა დავადევით რა. ვინც ჩვენ შემდგომად წილკნელი ბრძანდებოდეთ, ეცადნეთ კეთილად მოქცევასა და სწავლა და სარწმუნოება განამრავლეთ, ეკლესიისა (sic) და ეფისკოპოზის სამსახური ასწავეთ. თორემი ღ[მერ]თი ეფისკოპოზის ხელიდამ გამოიძიებს თავის სამწყსოს საქმეს. ასე ბრძანებს სახარებასა შინა — ასწავებდით და მოძღვრიდითო. თქვენვე ამცენით ერთხელ, ორჯელ, და ბევრ გზის(ა)ც და ვინც თქვენი სიტყვა არ შეიწყნაროს, განიყარეთ მტვერი ფერხთა თქვენთაგან და უბრალო იქნებით. ხევი ნინოს მოქცეულია, მასუკან ისე წილკნელი ყოფილა. ძველს გუჯარში ხევისთვინ საეპისკოპოზო სათხოვარი არა სახუცო, არ დრამა არ ეწერა, არც ჩვენ დავადევით.

- ქ. ქსანზედ ი რ ტ ო ზ ა ს: კორინთელები თუ სახლის უფროსი კაცი ან დედაკაცი მოკვდეს, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი, აგრევე დედაკაცზედ საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, ორი წასახურავი წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცრ(ო)სი მოკვდეს, ან უცოლო, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ. ირტოზელს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი, ცხვარი. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა ერთი შულო, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული, აგრევე მათის ცოლების, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, რაც ზევით უწეროს, ის გამოართვით.
- ქ. ო ძ ი ს ს: ღვდელს ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამ(ა) შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. სოფლის მოხელესაც აგრევე მათის ცოლების, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, რაც ზევით დავგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. თ ა ვ ღ ო რ ა შ ვ ი ლ ე ბ ს, იმათს ცოლებს საწირავი აძევთ, დრამა არ აძევთ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დავგვეწეროს, ისე გამოართვით.

114 ღვდელში: ერესკაცს.

მ ო ხ ე ლ ე თ გ ა ნ წ ე ს ე ბ ა¹¹⁵

- ქ. ხ ო ფ ა ს: წინ(ა)მძღვარი ვინც იჯდეს, თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული, ნიშანი წილკნელს მიაართონ. ქ. ომფორის მოლარეს ჯვარის მჭირავს აბაზი ღვდლის კურთხევაზე¹¹⁶.
- ქ. ა ხ ა ლ გ ო რ ს: დეკანოზს ერთ ღღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. ქართ-ველს კაცს თითო ძღვენი. მსახურს საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრე-ვე იმათი მეუღლის ერთი საწირავი. დრამა კომლზედ თითო შულო, ქე-რი ლიტრა ერთი. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით. სომხები, მაგისტანა კაცი თითო ძღვენს მიაართმევს და თითოს შულოს¹¹⁷.
- ქ. ა ხ ა ლ ს ო ფ ე ლ ს: ერთ ღღეს მასპინძლობა, სახუცო ხარი ერთი, მარჩი-ლი ერთი, მსახური თუ მოკვდეს, ან მოხელე სოფლისა, საწირავი, ცხენი შეკაზმული. კომლზედ დრამა შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. საკანო-ნო თუ რამ იყოს, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. ი კ ო თ ს: ფიცებელაურები სახლის უფროსნი კაცნი, ან მოხელენი თ(უ) მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხე-ნი, ორი წას(ა)ხურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი, სუფრის იარა-ღი და თასი. აგრევე იმათი მეუღლისა საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტო-ლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, მთლად ორი წა-სახურავი — ესენი წილკნელს უნდა მიაართონ. თუ სახლის უმცროსი, ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასა-ხურავი მიაართონ. ღვდელმა ერთ ღღეს მასპინძლობა, ხარი და ცხვარი. სოფელს: ერთს ღღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა შულო ერთი, ქე-რი ლიტრა ერთი, მამამთავარი და მსახური, ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი ცოლების საწირავი, რაც შეეძლოთ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგ(ე)წეროს, ისე გამოართვით.
- ქ. კ ო რ ი ნ თ ა ს: ღვდელსა და სოფელს ერთ ღღეს ჩაყენება. სახუცო ნა-ხევარი ხარი. დრამა კომლზედ შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახუ-რი თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე საწირავი^{118*}, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი მეუღლეს ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, რო-გორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
- ქ. ა ლ ე ვ ს: ღვდელს ერთ ღღეს კარგი მასპინძლობა. სახუცო ხარი ორი, ცხვარი ორი. კომლზედ დრამა შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახუ-რი თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგ-რევე იმათი მეუღლისა, რაც შეძლოს, ერთი საწირავი მიაართონ. საკანო-ნო რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით. ამას ზევით წილკნელს ხელი არ(ა) აქვს. მირზაშვილს ქსანზე საქმე არა აქვს. არც ანანურს ზე-ვით მთაში¹¹⁹.

¹¹⁵ ეს ორი სიტყვა მიწერილია შემდეგ. წინა სტრიქონის გაგრძელებაზე.

¹¹⁶ უკანასკნელი წინადადება მიწერილია შემდეგ.

¹¹⁷ და თითოს შულოს მიწერილია შემდეგ

¹¹⁸ * * * ნიშნებში მოქცეული ტექსტი უკანასკნელი რესტავრაციის დროს შეცდომით აღდგენილ კვფზეა. იხ. აქვე გვ. 28 სქოლიო.

¹¹⁹ უკანასკნელი წინადადება მიწერილია შემდეგ.

წმინდა ნინოს და ჩვენს მაკურთხეველს ნინოწმინდელს არსენს. ასე და ამა პირსა ზედან, რომე ბატონის ნინოწმინდლისა აზად კაცსა ჭარიც გვერთმე-ოდა მეგუთნე რომ მოკუდის და დრამაც. ახლა შემავიყარენით სულ და ბატონს ნინოწმინდელს კარს მივადეგით, შავებეწენით ვითაც ძველით-გან არა გვხებოდა. წყალობა გვიყო და ამოგვიკეთა და ცხენზედ და იარაღზედ პასუხი არა გვაქუს. ვინც მართალი კაცი მოკუდეს, ცხენი შეკმაზმული უნდა მივართვათ. არის ცხენის გამომღები: გიორგწმინდას მარინდაშვილები—ყველა განაყოფი¹²⁴; ბასილაშვილები პატა და გოგია; ღრეული პატია, მისი განაყოფი ივანე ღრეული, ვარსიმა და სულ ღრე-ულები ერთობით; მკერვალის-შვილი ჩიტაშვილი გიორგი, მისი განაყოფი ხანდარის-შვილი ჭიბარის-შვილი შერმაზან, მისი განაყოფი ხატია, მისი განაყოფი პაპია; პეტრეს მღრღლის სახლი, მისი განაყოფი ყუშიტა ყუდ-ლის-შვილი შავერდი; კანჯარაშვილი თვალზედ, გაღმა ეთიბერაშვილი ხატისა, კიდემ ეთიბერაშვილი დათუნა, გილაშვილი მგელია, გილაშვი-ლი დავითა, კიდევ გილაშვილი შავერდი; თამაზა¹²⁵ ქურდაშვილი; პანკე-ლაშვილი შავერდი, მისი განაყოფი გიორგი; ქურუხულები სულ განაყო-ფი დიდი და ცოტა. ამბროაშვილი ამბროა, მისი განაყოფი ნასყიდა; გულბათის-შვილი შარმაზან, მისი განაყოფი ელიბა; ხახიაშვილი დემეტ-რე, კიდევ მისი განაყოფი დათუნა; გამოდმა გოგიტაშვილები; ყორანაშ-ვილი რამაზა, იობარა და სულ ყორანაშვილები; მოძმანაშვილები შა-ვერდი, კვერაშვილები სულ. კურდღელაშვილები გიორგი, იოდლანა; ღრე-იძენი სულ. ავლაბრელები სულ. ბერთუბანს სიბოშვილები სულ. ბერნაც-ლის-შვილი ჭილაურის-შვილი თამაზა. კერატის-შვილი პაპუნა. გუთანაშვი-ლები ენაგელები, პაპუნა. ზუკაკის-შვილები სულ დიდი ცოტა. წირწალა-შვილი და სულ უნათექოს-შვილები; ჭილაშვილი პაპუნა; ზუკაკის-შვი-ლები სულ დიდი ცოტა; წირწალაშვილი პატარაძეულს. ძნელაშვილები ერთობილ დიდი ცოტა; მუჩიაშვილები სულ. ასლანიშვილები სულ. ბუ-ტულაშვილები მამუკას სახლი და მისი განაყოფები; ყუშიტაშვილები, ყელმადლის-შვილები, ურჯუკა, ჭიჭიკას-შვილები, ლადკერის-შვილები. პეტრე ხუცესი გაბროშვილი ეს არის ცხენის გამომღები. ვინც ამაში თავი გაიხაროს (sic) რისხვას ღ[მერ]თი, მისინი წმინდანი. წმინდა ნინო. აბაყული-ხანისა და ერეკლე მეფის შემცოდე იყოს. არის ამისი¹²⁶ მო-წამე მოურავი გიორგი, სუფრაჩი, ნაცვალი დათუნა, წმინდის დავითის წინამძღვარი ონოფრე, კიდემ ონოფრე, ნიკოლოზ ერედელი, სულ საყ-დრის ყმანი.

8. 1697 წ. იანვრის 15. თამასუქი მიცემული გაბრიელ ბეჟანის-შვილ ბაინდურას-შვი-ლისა და ავთანდილ ასატურას-შვილის მიერ ელიზბარ დავითიშვილისათვის (მ. ვ. მაჩაბლის გარდმოცემული ქაღალდზე დაწერილი თამასუქი. ჩქარი, გაკრული უღამაზო ხელით არის ნაწერი). ქვეყნდება ივ. ჯავახიშვილის გადაწერის მიხედვით.

¹²⁴ დედანში: განაყოფი.

¹²⁵ ამის შემდეგ ზის ასო ქ დამწერს დაუწყია მომდევნო სიტყვის წერა და ამის შემდეგ ადგილის უქონლობის გამო აგრძელებს მომდევნო სტრიქონზე.

¹²⁶ ამ სიტყვიდან ნაწერი გაუმუქებულია.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენა ბეჟანის-შვილმანა (sic) ბინდურას-შვილმანა გაბრიელმან, ასატურას-შვილმანა ავთანდილმა, შენა დავითის-შვილსა ელიზბარსა. ასე რომე ჩვენი ოცი თუმანი და ერთი მინალთუნი მამა თქვენსა, ბატონის შვილსა ბებიათქვენსა ემართა. ორი თამასუქი გვაქონდა — ერთი: ათი თუმანი ერთი მინალთუნი ეწერა. ერთს თამასუქში: ათი თუმანი. ორი თამასუქი შეიქნა ოცი თუმანი ერთი მინალთუნი. მობრძანდითა განჯასა, თქვენი აზნაურაშვილებიცა გახალდათ, მოქალაქე ქეთხუდაებიცა დაგვეწარა, გადგვიწყვიტე. მათავნი მოგ(ეცით). თამასუქებში არ ეწერა მაგრამ თქვენსა და ჩვენ შუა ტყვილი არ მოხდებოდა. გირაო(თ) ქონდა ერთი მურასა ჯილა, ოთხი ოც-ოცის მარჩილის თასი. ერთი პატარა ტაშ(ტი) ვერცხლისა მისხალი იყო ოთხი¹²⁷. თასი და ტაშტი. ერთი თასი იყო მისხალი სამასა სამოც(ი) და ტაშტი იყო მისხალი ოთხმოცდა თერთმეტ ნახევარი მისხალი. თუ ამის მეტი გირაო ჩვენა შენის მამისგან მეტი გირაო გვქონებოდეს, მამაშენმა თქვას და საბუთი გვიყოს. ნაეტნავი გვქონებოდეს ერთსთვინს ორი პასუხის გამცემი ვიყოთ. თუ ორი თამასუქი რომე გვაქონდა ერთი: ათის თუმნ ზურგზე: ისა ერთის მინალთუნისა, ერთი: თამასუქი ათის თუმნის. და გადაგიწყვიტეთ: ამის გარდაისათ თუ თქვენა ჩვენათანა ან თამასუქი, ან ყალბი გამოჩნდაეს ცუდაი იყოს და ამა წიგნმან გამატყუნოს. თქვენ ელიზბარმან ბრძანე: მე ჯილას არ ვიცნობო — ჯილა ის არისო თუ არაო. მეცა ეს პირი მოგეცი: თუ ჯილა მამის თქვენის მოცემული არ იყოს, მე გამამეცვალოს, იმა ჯილისაც პასუხი გაგცეთ. არის ამისი მოწამე მოქალაქე ამირჯანის-შვილი დავითა¹²⁸, ავთანდილაშვილი ზალი¹²⁹, ზარაფი სულხანა¹³⁰ ხუდადაშვილი ბაღდასარა¹³¹ და მე ფარემუზას-შვილს ზურაბს¹³² დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა განჯასა იანვრის თხუთმეტს გასულსა ქ[ორონი]კ[ონ]ს ტ პ ე¹³³.

9. XVII საუკ. II ნახევარი. როსებ ტატიშვილის ყმის დავთარი. (მ. ვ. მაჩაბლის გარდმოცემული პატარა ფურცელი, იმავე ხელით, რომლითაც შემოოყვანილი (იგულისხმება Qd 7071, 7018 რედ.) დავთრებია ნაწერი). Qd 7017, 7018 დავთრების მიხედვით ეს დოკუმენტი XVII საუკ. II ნახევრით თარიღდება. ქვეყნდება ივ. ჯავახიშვილის გადმონაწერის მიხედვით.

როსების ტატის-შვილის ყმის დავთარი¹³⁴

- | | |
|--|----|
| ქ. როსებასა ყმა კავმალი (sic) ჩურისტნიძე (sic) დათუნ | ა. |
| ქ. გიორგი ჩურისტანიძე კვამლი | ა. |
| ქ. ზურაბაშვილი კვამლი | ა. |
| ქ. ბედიანიძე კვამლი | ა. |

¹²⁷ ასეა ივ. ჯავახიშვილის გადნაწერში.

¹²⁸ ივ. ჯავახიშვილს შემოხაზული აქვს ოვალი ბეჭდის წარწერით: „დავით“ და მიწერილია „სპარსული აღარ გაირჩევა“.

¹²⁹ ამოგლეჯილია, ივ. ჯ.

¹³⁰ ბეჭდისათვის აღგილია დატოვებული, ივ. ჯ.

¹³¹ ივ. ჯავახიშვილს შემოხაზული აქვს ოთხეუთხედი ბეჭდის წარწერით: „ბაღდას“, რედ.

¹³² ივ. ჯავახიშვილს შემოხაზული აქვს ოთხეუთხედი ბეჭდის წარწერის ასოებით და აღნიშნავს, რომ „ამოგლეჯილია“, რედ.

¹³³ ამოგლეჯილია, ივ. ჯ.

¹³⁴ მარჯვენა გვერდზეა მიწერილი მკრთალი მელნით, ივ. ჯ.

- | | |
|-------------------------------|----|
| ქ. კობალაძე კვამლი | ა. |
| ქ. გრიგოლაშვილი კვამლი | ა. |
| ქ. კიდევა გრიგოლაშვილი კვამლი | ა. |
| ზურგზე: | |
| ქ. ყავიჯინძე (sic) კვამლი | |
| ქ. ტაეტნაშვილი კვამლი | ა. |
| ქ. ჯავახი კვამლი | ა. |
| ქ. აყრილი გუჯაბაძესა მამული | ა. |
| ქ. დაულრიძისა მამული | ა. |
| ქ. კურტანიძისა მამული | ა. |

10. XVII საუკ. II ნახევარი. ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარი. (მ. ვ. მაჩაბლის გარდმოცემული ქალაქის) ოთხი (გრაგნილი)¹³⁵. დედანი. 125×20 სმ.; 179×19 სმ.; 109×19,5 სმ. 13×11,5 სმ. რესტავირებული. მოყვითალო ქალაქი. მხედრული. განკვეთის ნიშნად ნახმარია სამ-სამი წერტილი. (თვითელი სოფლის წესის ბოლოს ორი ბეჭედი ზის ერთი ქართული „ბოქაულთხუცესი დავით“ და ერთი სპარსული „شاه بوداوا“ გრაგნილები თანმიმდევრობით დალაგებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ¹³⁶. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში (Qd) ამ დავთრის სამი ნაწილი ერთი ნომრითაა გატარებული Qd 7017, მეოთხე კი ცალკე—Qd 7018.

№ 1 გრაგნილი.

- ქ. (მს)ახური კუამლი ერთი,
(ძმის წული მისი) ნაშენი ხუთი.
სალაშქრო ვაჟი¹³⁷.
- ქ. სატიგეს მოყალნე მსახლობელი:¹³⁸
- ქ. ქიტუნას-შვილი პატა კუამლი ერთი,
მისი ძმა სოზია,
ძმისწული მისი ორი,
იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი.
- ქ. სარაჯი ივანა კუამლი ერთი,
იმისი ძმა მახარა ერთი,
იმათი ნაშენი ორი ვაჟი.
- ქ. კალოველი ივანა კუამლი ერთი,
შვილი იმისი ერთი ვაჟი.
- ქ. კოჭლაშვილი ქიტესა კუამლი ერთი,
შვილი მისი ერთი სალაშქრო,
იმისი ნაშენი ვაჟი ერთი.
- ქ. ძამა (sic) კუამლი ერთი,
მისი ძმა ღონია ერთი,
იმათი ნაშენი ერთი ვაჟი.
- ქ. ბაღდას-შვილი პაპნია კუამლი ერთი,
შვილი მისი ნასყიდა,

¹³⁵ იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფ., 1930, გვ. 7 — 10.

¹³⁶ გამოცემის დროს №№ ჩვენ ვუსვამთ.

¹³⁷ ზურგზე დაცრული აქვს რაღაც ანგარიშის ნაგლეჯი: „ქ. შაბათს ხარჯი სამი ლიტრა ფქელი. ქ. კვირას...“.

¹³⁸ დასმულია ორი ბეჭედი.

- იმისი ნაშენი ერთი ვაჟი.
- ქ. ძამიას-შვილი პაპა კუამლი ერთი,
ძმა იმისი პატა ერთი,
იმათი ნაშენი სამი ვაჟი¹³⁹.
- ქ. ბოგანო სატივეს გამდილს ყმა¹³⁹.
- ქ. წიწკაშვილი ბოგანო გოგია კუამლი ერთი,
შვილი იმისი ოთხი სალაშქრო ვაჟი.
იმათი ნაშენი ერთი ვაჟი.
- ქ. ოსაძე გიოგა (sic) ბოგანო, კუამლი ერთი,
შვილი იმისი ორი ვაჟი.
- ქ. ოლაძე ირემა ბოგანო, კუამლი ერთი,
მისი ძმა ნადირა ერთი.
- ქ. ლომაურიძე ზაქარია კუამლი¹⁴⁰ ერთი, ბოგანო,
მისი ძმა შოშიტა,
იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი.
- ქ. მანაგაძე მიქელა ბოგანო, კუამლი ერთი,
მისი ნაშენი ორი ვაჟი.
- ითქ. მანაგაძე გოჩიაშვილი,
მისი ორი ვაჟი¹³⁹.
- ქ. წაბლოვანს საუფლისწულოს მსახლობელი მოყალნე¹³⁹
- ქ. წაბლოვანას ნოზაძე პატა კუამლი ერთი,
მისი ძმა სტეფანა ერთი, გიორგი ერთი,
იმათი ნაშენი ერთი ვაჟი.
- ქ. ტაბატაძე ზაზუნა კუამლი ერთი,
მისი ძმა დათუნა ერთი,
იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი.
- ქ. პატარაძე სეხნია კუამლი ერთი,
ძმა იმისი გოგილა ერთი, ბეჟუაი ერთი,
იმათი ნაშენი რვა ვაჟი.
- ქ. ჯვარელიძე ბეჟუნა კუამლი ერთი,
ძმა იმისი სეხნია ერთი, პაპუნა ერთი, ივანა ერთი, ნადირა ერთი,
იმათი ნაშენი ორი ვაჟი.
- ქ. ტაბატაძე თამაზა¹⁴¹ კუამლი ერთი,
ძმისწული მისი ძამუკა ერთი, დათუნა ერთი,
იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი.
- ქ. ეკალაძე დათუნა კუამლი ერთი,
შვილი მისი ერთი ვაჟი.
- ქ. შუბითიძე ოთია კუამლი ერთი,
ძმა მისი გერმანე ერთი, თამაზა ერთი,
იმათი ნაშენი ხუთი ვაჟი¹³⁹.

¹³⁹ დასმულია ორი ბეჭედი.

¹⁴⁰ დედანში: კამლი.

¹⁴¹ (შეადარე) 1715 წ. რუისის სამწყ. დავთარს, გვ. 179, ივ. ჯ.

- ქ. ქინძათს საუფლისწულო მსახლობელი სომეხი და ქართველი, მსახური და გლეხი¹⁴².
- ქ. ქინძათს: მაისურაძე დურაბა კუამლი ერთი, მისი ძმისწული შერმაზან დოვლატირა (sic), იმათი ნაშენი ორი ვაჟი.
- ქ. ტერტერაშვილი მამულა კუამლი ერთი, იმისი ნაშენი ბერუკა ერთი, არაქელა ერთი, ო(პ)ანა ერთი, მარტიროზა ერთი, გოგინა ერთი, მურადა ერთი, გურგენა ერთი, თამაზა ერთი, იმათ ნაშენი ვაჟი ხუთი.
- ქ. ბიბილური ლაშქარა კუამლი ერთი, შვილი მისი გიორგი, ძმისწული მისი დათუნა ერთი, ივანა ერთი, პაპუნა ერთი, ელია ერთი, მახარა ერთი, იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი.
- ია ქ. ზღუდრელას-შვილი ნურალა კუამლი ერთი, ძმა იმისი ბადუა ერთი, იმათი ნაშენი შვიდი ვაჟი¹⁴³.
- ქ. ქინძათს მეულაყე და მესეფე ქართველი და სომეხი:¹⁴³
- ქ. პარუბეგაშვილი ალაბეგა, ძმა იმისი სტეფანა ერთი, თამაზა ერთი.
- ქ. ქოჩორაძე პაპუნა¹⁴⁴ კუამლი ერთი, შვილი იმისი ხუთი ვაჟი, ერთი მისი ძმისწული.
